# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 22 მარტი, 1998 წელი. №70 (2770)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ - 45 თეთრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაწვრილებით

# ყალბმა პასპორტმა და საეჭვო ინდულგენციამ ვერ უშველა

ყოველთვის საიმედო და საინტერესოა მასალების მიღება პირველი პირისგან, პირველი წყაროდან. იგი აუცილებლად იტყვის რაღაც ახალს, სხვათაგან დაფარულს. სწორედ ამ იმედით მიიდნენ ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ გაიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე რევაზ ყიფიანი, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ერიკ სვანიძე და საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე გიგლა აგულაშვილი. თემა ისედაც ცხადია – 9 თებერვლის ტერაქტი, გურამ აბსანძე, ნემო ბურჭულაძე...

მაინც რა შევიტყვეთ?

გურამ აბსანძეს გული საგულეს ჰქონია, ჯიბეში არა მარტო რუსული ყალბი პასპორტი, არამედ რუსეთის პროკურატურის ერთ-ერთი საკმაოდ მაღალი ჩინოსნის ხელმოწერილი საეჭვო საბუთიც

იხ. მე - 2 გვ.

## კადრი



ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

– სადაური ხარ, სად მიხვალ, საითკენ მიეშურები?
მობრძანდი, ყურძენი ჭამე, თითა და'ბუდეშურები,
– არ მინდა, შენი ჭირიმე, მივალ, გზას მივეშურები.
(ხალხური).

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

**ვ. აბაშიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრის ბავშვთა ქართული ცეკვის სახალხო ანსამბლ „მზიურის" სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი **ვაჟა აბაშიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

**მ. დავითაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, ამიერკავკასიის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი **მზია დავითაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## კონტაქტები

# არატრადიციული ენერგიის პერსპექტივა

21 მარტს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო იაპონიის საქმიანი წრეების დელეგაცია.

ბოლო რვა თვის განმავლობაში საქართველოში აქტიურად მუშაობს იაპონიის ფირმა „ფრაის ვოთერ ჰაუზ ჯაპანი", რომელიც ჩვენთან ერთად განიხილავს ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის, საბუეთის მთაზე ქარის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურის აგების და ვარძიასთან „მზიური სოფლის" მშენებლობის პროექტებს.

ფოთის ნავსადგურით იაპონიის ფირმა სამი თვის წინათ დაინტერესდა და ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ჩამოიყვანა ორი უმსხვილესი კომპანია „კაჯიმა კორპორეიშენ" და „ნიპონ კოეი". 17-20 მარტს ფოთში განიხილეს ქალაქის ნავსადგურში საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობისათვის პირველ ეტაპზე იაპონიის მთავრობის მიერ 50-60 მილიონი ამერიკული დოლარის, ხოლო მეორე ეტაპზე იაპონიის კერძო სტრუქტურებიდან 40-50 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფის კონკრეტული საკითხები. იაპონელები აპრილ-მაისში საბუეთის მთაზე დაამონტაჟებენ ორ საცდელ ანძას შესაბამისი აპარატურით, შეისწავლიან აქაურ პოტენციალს და გადაწყვეტენ 10 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხს. პროექტის წარმატების შემთხვევაში, იაპონიის მხარე სავსებით რეალურად მიიჩნევს მის შემდეგომ განვითარებას 100-200 მეგავატ სიმძლავრემდე.

„მზიური სოფლის" ტექნიკური დასაბუთების შედგენისათვის იაპონიის მთავრობა გამოჰყოფს 300 ათასი ამერიკული დოლარის გრანტს.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა სტუმრებს აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## დღეს

### ამინდი



**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა. უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ზემლო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე 17-22 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +3 +8; დღისით +10 +15
მთაში: ღამით -1 -4; დღისით +6 +11
მაღალ მთაში: ღამით -5 -10; დღისით -2 +3.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა. უნალექოდ. სუსტი ქარი.

ბარში: ღამით -1 +4; დღისით +9 +14
მთაში: ღამით 0 -5; დღისით +5 +10
მაღალ მთაში: ღამით: -10 -15; დღისით -1 +4.

**თბილისში:**

ცვალებადი მოღრუბლულობა. უნალექოდ. სუსტი ქარი. ღამით +2 +4; დღისით +12 +14.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ფაქტი

# წყარო ჩამოდის ჩაბინაანში

19 მარტს ნამდვილი დღესასწაული იყო ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანში. იქ გაიხსნა წყალსადენი არხი, რომელიც გაიყვანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიოს სასურსათო პროგრამის დახმარებით.

არხის გაყვანის პროცესში განხორციელდა სარწყავი სისტემის გაწმენდის სამუშაოები, რის წყალობითაც მოხერხდა სამასამდე ადგილობრივი მცხოვრების სამუშაოთი უზრუნველყოფა.

როგორც მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქართველოს ოფისის დირექტორმა, ამ ორგანიზაციის კოორდინატორმა კავკასიის რეგიონში ჟოზეფ-ალაინ შარიემ თქვა, მსოფლიო სასურსათო პროგრამა მზად არის მომავალშიც ითანამშრომლოს საქართველოსთან. ამჟამად მზადდება თუშეთში საგზაო-სატრანსპორტო ხიდების აღდგენის პროექტი, რომელიც გადაჭრის უგზოობის პრობლემას.

საქინფორმი.



ახალი წყარო ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანში.

დავით ხიზანიშვილის ფოტო.

## საზღვარი

# ჩვენ დავიცავთ

მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი, რომლებსაც სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით ამჟამად რუსეთის სასაზღვრო ჯგუფი იცავს, საქართველოს სასაზღვრო ჯარებს გადაეცემა. ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს 20 მარტს დსთ ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს საზღვაო საზღვარზე საუბრისას რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ნიკოლაი ბორდიუჟამ განაცხადა, რომ სოხუმისკენ მესაზღვრეები მხოლოდ ჰუმანიტარულ ტვირთს ატარებენ. „სოხუმის მონაკვეთი ქართულ სასაზღვრო ჯარებს შეიძლება გადაეცეს ამა წლის 1 ივლისამდე".

„ლაპარაკია სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების, მათ შორის, სოხუმის საზღვაო მონაკვეთის ეტაპობრივ გადმოცემაზე", – დააზუსტა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, სასაზღვრო ჯარების სარდალმა გენერალ-მაიორმა ვალერი ჩხეიძემ.

იხ. მე - 2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№70, კვირა, 22 მარტი, 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწვრილებით

# ყალბმა პასპორტმა და საეჭვო ინდულგენციამ ვერ უშველა

სდებია მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეჩერების შესახებ. ამიტომაც სმოლენსკის მახლობლად, ქალაქ რუდნიაში არყის ქარხანა შეუსყიდია და საკმაოდ სარფიანი ბიზნესიც დაუტრიალებია. 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ მის მიმართ რაღაც განსაკუთრებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებით თავი არავის მოუკლავს. იგი უბრალოდ დაუბარებიათ მილიციაში, სადაც თავისი ფეხით მისულა. იქ კი...

რუდნიაშიც და სმოლენსკშიც გამოძიების მუშაკებს საკმაო მასალები მოუპოვებიათ, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ. მოსკოვშიც გაუჩხრეკიათ გურამ აბსანძის მიერ დაქირავებული ოფისი, სადაც ზვიადისტთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი ბინადრობდა, და იქ 7 ქართველს შორის შემთხვევით ნემო ბურჭულაძეც აღმოჩენილა. „მჩხრეკავები“ იქ ნემოს კი არა, საერთოდ არავის ელოდნენ თურმე, კარი, ალბათ, შესამტვრევი გაგვიხდებაო, უფიქრიათ, მაგრამ... აი, სიურპრიზი!

გურამ აბსანძე სმოლენსკიდან ავტომანქანით ჩამოუყვანიათ მოსკოვში, იქიდან კი თვითმფრინავით – თბილისში. ნემო ბურჭულაძე მალე გაუშვიათ, ოღონდ ერთი პირობით, – იგი თბილისში საკუთარი ფეხით უნდა ჩამოვიდეს და აქ სათანადო ჩვენება მისცეს. მას აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა, თორემ სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა.

გურამ აბსანძისა და ნემო ბურჭულაძის დაკავებას საკმაო გამოხმაურება მოჰყოლია. პირველსავე პრესკონფერენციას, რომელსაც მოსკოვში რევაზ ყიფიანი და ერიკ სვანიძე უძღვებოდნენ, დასწრებიან 22 სააგენტოსა და 6 ტელეარხის წარმომადგენელი. თურმე ყველასაგან იგრძნობოდა კეთილი დამოკიდებულება, მხარდაჭერა. არადა, მერე გაზეთებში ზოგ-ზოგებს „აურევიათ“, – ეს კრიმინალური კი არა, პოლიტიკური ამბებიაო; რუსეთს თავშეფარებული ხალხი არც ერთ ქვეყანას არ უნდა გადავცეთ, რადგან ჩვენი იმიჯი ილახება, გავლენა კი სუსტდებაო.

ერთი სიტყვით, აზრი იმის შესახებ, რომ გურამ აბსანძე ადვილად გაიმეტეს, სულაც არ ყოფილა სწორი. მოსკოვის სამიტის ჩაშლის შიშით არავის გაულია რუსეთის ბჭენი და არ უხვეწია: – აჰა, ვინც გინდათ, ის წაიყვანეთო. ჩვენი გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს რუსეთის გენერალურ პროკურატურაში, ცოტა ქვედა ეშელონებშიც მაგიდაზე მუშტები ურტყია და მავანი და მავანი მაგარი სიტყვებითაც შეუხურებია. ყველაფერი გენერალურ პროკურორს იური სკურატოვს გადაუწყვეტია. ასე რომ, ლაპარაკია არა გურამ აბსანძის იოლად გადმოცემაზე, არამედ ლამის ძალით წაგლეჯაზე...

პრესკონფერენციები ბოლო ხანს თითქმის ყოველდღე იმართება, კითხვები მაინც არ ილევა.

– ამბობენ, ნემო ბურჭულაძე მოსკოვიდან გაქრა?..

– ჩვენ მას გარკვეული გარანტიები მივეცით. არა გვგონია, მიმალვა იკადროს.

– იგორ გიორგაძეს მართლა აქტიურად ეძებენ?

– ეძებენ. გიორგაძესა და მის თანამზრახველებს იქ მფარველები ჰყავთ, მაგრამ არიან ისეთი ძალებიც, რომელთა აზრით, რუსეთი უნდა განთავისუფლდეს ტერორისტებისაგან.

– რა გამოდის? ქვეყანას ადამიანები მართავენ თუ კანონები?

– ჩვენ ყველაფერს კანონით ვაკეთებთ!

– კონკრეტულად ამხილა ვინმემ გურამ აბსანძე 9 თებერვლის ტერაქტში?

– დიახ, რამდენიმე დაკავებულმა ამხილა.

– თუ მიდის ტერორის კვალი ფინეთისკენ, – ბესარიონ გუგუშვილისკენ?

– ჯერ ასეთი მონაცემები არა გვაქვს.

– ჩეჩნეთისკენ?

– ტერორისტები მომზადებას გადიოდნენ გროზნოს მახლობლად, დანარჩენს ვერ დავაკონკრეტებ.

– როგორ მიდის 9 თებერვლის ტერაქტის გამოძიება?

– გამოძიება ინტენსიურად მიდის, – გვაქვს ახალი მასალები, ახალი სამხილები... მაგრამ... ცოტა კიდევ გვაცალეთ.

**ბატონმა რევაზ ყიფიანმა ექსკლუზიურად უპასუხა „საქართველოს რესპუბლიკის“ ორ კითხვას:**

**– გადმოგვცემდნენ თუ არა საერთოდ გურამ აბსანძეს, რომ არ ყოფილიყო 9 თებერვლის ტერაქტი?**

– გურამ აბსანძე, მართალია, დააკავეს ძველი ცოდვების გამო, მაგრამ მისი დაკავება 9 თებერვლის ტერაქტმაც უსათუოდ დააჩქარა.

**– მოსკოვში რამდენიმე პრესკონფერენცია მოაწყვეთ, რა იყო თქვენთვის იქ მოულოდნელი ან დასამახსოვრებელი?**

– პირველი, – ჟურნალისტთა გაოცება ტერაქტის ასე ოპერატიულად გახსნის გამო, მეორე, – ასევე მათი გაოცება ნემო ბურჭულაძის განთავისუფლების გამო. ვერაფრით დავაჯერეთ, რომ ჩვენ გვირჩევნია ერთი კაცის გაშვება და ასობით კაცის შემორიგება, ვიდრე მისი დაჭერა და ვითარების გამწვავება...

კულისებში თურმე ლაპარაკობდნენ, – თუ ჩვენთანაც მოხდება მსგავსი ტერაქტი, აუცილებლად ქართველი სამართალდამცველები უნდა დავიხმაროთო.

კი, ბატონო, ჩვენი სამართალდამცველები მზად არიან, დანაშაულის ოპერატიული გახსნა გარანტირებულია!

**ბონდო გულიაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საზღვარი

# ჩვენ დავიცავთ

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

მისი განმარტებით, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა აფხაზეთში შეჩერდება. პირიქით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს ჰუმანიტარული პროდუქტებით.

საზღვრის აჭარის მონაკვეთზე, ვალერი ჩხეიძის განცხადებით, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, აქ, ძირითადად მისი წარმომადგენლები იმსახურებენ.

ვალერი ჩხეიძემ დამსწრეთ შეახსენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ საზღვრის დაცვის საკითხი ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, და აჭარის ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც ავტონომიის მოსახლეობა, მთლიანად მხარს დაუჭერს საქართველოს პრეზიდენტის, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

**საქინფორმი.**

ინფორმაცია

### ჯერჯერობით – მხოლოდ ვარაუდობენ

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ მიუხედავად რუსეთის ოფიციალური პირების მხრიდან ადრე გაკეთებული განცხადებებისა, დსთ სახელმწიფო მეთაურთა სამიტის გამართვის ვადა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ვარაუდობენ აპრილის მესამე დეკადის მეორე ნახევარს. კონსულტაციები ამის თაობაზე გრძელდება.

### საითკენ იდენს კასპიის ნავთობი?

31 მარტსა და 1 აპრილს ალმა-ათაში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტებთან დაკავშირებით. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს, რუსეთის, აშშ, თურქეთის, უზბეკეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, ავღანეთის წარმომადგენლები.

### ნოვრუზ – ახალი დღე

ნოვრუზი აღინიშნება როგორც გაზაფხულის დღესასწაული, ახალი მოსავლისა და ბუნების გამოღვიძების დღე.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება „ბირლიკმა“ („ერთობა“), ნოვრუზის დღეებში საკუთარი სახსრებიდან გამოყო თანხები და საზოგადოების პრეზიდენტის გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორის სულეიმან სულეიმანოვის ინფორმაციით, დაეხმარა მარჩენალის გარეშე დარჩენილ აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებს, 20 ოჯახს ბოლნისის რაიონის სოფლებიდან ქვეშედან და მაშავერადან, რომელთა ოჯახის წევრები აზერბაიჯანის ქალაქ თოფუზთან მომხდარ ავტოავარიაში დაიღუპნენ, კულტურულ ცენტრს, ნარიმანოვის მუზეუმს, გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქციას.

**ინფორმაციები მოგვაწოდა: „იბერიამ“, და ჩვენმა კორესპონდენტმა.**

ბუნება

მოვიდა გაზაფხული. იღვიძებს ბუნება, რომელსაც დახმარება და განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ახლახან გამოქვეყნდა კიდეც საქართველოს პრეზიდენტის წერილი მოსახლეობისადმი გამწვანება-გატყევების სამუშაოთა შესახებ. წერილი, თავისთავად, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ტყის დაცვა და მისი აღდგენა-განახლებისთვის ზრუნვა მამულის, ერის საარსებო სივრცის დაცვაა.

წარსულში ტყის ინტენსიურმა ექსპლოატაციამ, ადამიანის დაუფიქრებელმა მოქმედებამ ბევრ ადგილას საერთო მდგომარეობისა და პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუარესება-დაქვეითება გამოიწვია, ბევრგან კი ტყე პირწმინდად გაიკაფა, გაძლიერდა ეროზიული პროცესები, გადაირეცხა ნიადაგი, გამიშვლდა ფერდობები.

საქართველოში გახრიოკებული ფერდობების გატყევების მდიდარი გამოცდილება არსებობს. ამ მხრივ უნიკალური ნიმუშია თბილისის შემოგარენი. აქ უტყეო ადგილების მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ და მეცნიერულ საფუძვლებზე გატყევებას 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. დღეს აქ ბუნებრივად განახლებული თუ ხელოვნურად გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყე შრიალებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრწანისის კლდოვანი ფერდობების გატყევების სამუშაოები, რომლებიც საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის ბატონ ე. შევარდნაძის ინიციატივით 1978 წელს დაიწყო. დამუშავდა გატყევების სამუშაოთა სპეციალური კომპლექსური ტექნოლოგიები, რომლებშიც, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებულია სარგავი ადგილების ბურღვა-აფეთქება და ხეების დარგვის ადგილებში ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. 1990-1991 წლამდე აქ მასშტაბური გატყევებითი სამუშაოები შესრულდა და შედეგებიც დადებითია. შემდგომში, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო, ამ სამუშაოთა მოცულობა ძლიერ შემცირდა. არადა, მათი გაგრძელება აუცილებელია, რადგან ტყის აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის საჰაერო აუზის სანიტარიულ-ჰიგიენური და ესთეტიკური პირობების გაუმჯობესებისათვის.

## იზარე, ნერგო!

**გაუფრთხილდით ტყეს – ეროვნულ სიმდიდრეს**



უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში, როცა მთელი სიმწვავით იჩინა თავი ენერგეტიკულმა კრიზისმა, ბუნებრივ სათბობზე მოთხოვნილების მთელი სიმძიმე ადვილად მისადგომ ტყეს, მათ შორის, დასახლებული პუნქტების ირგვლივ, წამოზრდილ ხეებს, ქარსაფარებს, ბაღ-პარკებს, სკვერებს და მისთანებს დააწვა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს ტყეს გადაშენება არ უწერია, რადგან მისი დაახლოებით 80-85 პროცენტი განლაგებულია რთული რელიეფის ვიწრო ხეობებში, საიდანაც ხე-ტყის გამოზიდვა გზების და ტექნიკის უქონლობის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, პატიოსანი მეტყევეების და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეროვნულმა თვითშეგნებამ, ტყისადმი, დედა-ბუნებისადმი უანგარო დამოკიდებულებამ შეიძლება ითქვას, ტყე განადგურებას გადაარჩინა. და მაინც აუცილებელია აღმოვფხვრათ ტყის უკანონო და გადაჭარბებული ჭრა. მომხვეჭელ და უსინდისო პიროვნებას ტყის გზა უნდა გადაეკეტოს. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მომავალში მოსახლეობას თუნდაც მინიმალური ოდენობით არ უზრუნველვყოფთ სათბობითა და ენერგორესურსებით, ტყის და მწვანე ნარგავების განუკითხავ გაჩეხვას თავიდან ვერ ავიცილებთ.ცნობილია, რომ ქარსაფარი ზოლები ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა. მათმა მასიურმა გაჩანაგება-განადგურებამ ფრიად უარყოფითი შედეგები გამოიწვია. ამის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, დმანისი, ბოლნისი, გარდაბანი, მცხეთა, თეთრიწყარო და სხვ.) ამ გაზაფხულზე ძლიერმა ქარებმა მნიშვნელოვნად დააზიანა, ხოლო ბევრ ადგილას მთლიანად აღგავა პირისაგან მიწისა მარცვლეულისა და ბოსტნეულის საშემოდგომო ნათესები.

საქართველო ოდითგანვე ცნობილია როგორც მეკაკლეობის ქვეყანა. ჩვენში მრავლად არის ხალხური სელექციით მიღებული კაკლის მესანიშნავი ფორმები, რომლებიც კარგი მოსავლიანობითა და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. და მაინც, სპეციალური სამთავრობო დადგენილებების მიუხედავად, კაკალნაყოფიანთა გაშენებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის კაკალნაყოფიანთა საცდელ სადგურს აქვს დაახლოებით 5 ათასი 1-1,5 მეტრი სიმაღლის სელექციური იაფფასიანი ნერგი. რაკი სამთო მეტყევეობის ინსტიტუტზე ჩამოვარდა საუბარი, აღვნიშნავთ, რომ მეტყევეობის მეცნიერული საფუძვლები, ძირითადად, ამ ინსტიტუტში მუშავდება. სატყეო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხილვის შეჯამებისას, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „... მე ახლოს ვიყავი ბატონ გულისაშვილის ინსტიტუტთან თავის დროზე. თვითონ მეტყევეებთან... ძალიან ვამაყობ იმით, რომ დღესაც ღირსეულად უძღვებიან ამ მეცნიერებას, ძალიან მიხარია, რომ ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებს ანგარიშს უწევენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში“.

საქართველოს ცალკეულ რაიონებში ფართობების გასატყევებლად საჭირო ნერგების ძალიან იაფად შეძენა შესაძლებელია სატყეო მეურნეობებში. იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე არა აქვთ ნერგების სასურველი ასორტიმენტი, მსურველებმა უნდა მიმართონ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

გამწვანების და, საერთოდ, მოვლის პრობლემები წარმატებით გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენებში გაითავისებენ ამ ეროვნული საქმის სასიცოცხლო აუცილებლობას. ამ კუთხით წლევანდელი საგაზაფხულო გამწვანება-გაშენების სამუშაოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

წარმატებებს გისურვებთ მეგობრებო.

**გიორგი გიგაური,**
ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი,

**თენგიზ ურუშაძე,**
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პარლამენტარი



მიხეილ ოსაძე. დაიბადა ხაშურში 1943 წელს, რკინიგზელის ოჯახში. დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, 1967 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. ერთი წელიწადი სპეციალობით იმუშავა. 1969-1982 წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მსახურობდა სხვადასხვა, მათ შორის, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე იყო შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. განვლო გზა უმცროსი ლეიტენანტიდან გენერალ-მაიორამდე. განუკითხაობის წლებში ორი წელიწადი იძულებით „ისვენებდა“. პარლამენტის ბოლო არჩევნებში გახდა მაჟორიტარი დეპუტატი ხაშურის რაიონიდან. 1996 წლის ოქტომბრიდან პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეა. კომისიის თავმჯდომარედ მიხეილ ოსაძის ორჯერ ერთხმად არჩევა მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული პატიოსნების შედეგია.

*— ბატონო მიხეილ, თქვენ საკუთარ თავზე გაქვთ გამოცდილი, რას ნიშნავს იყო უდანაშაულო და ექვმიტანილი. ამდენად, გაცილებით ყურადღებიანი უნდა იყოთ ნებისმიერი პიროვნების მიმართ, ვისი საქმის გამოძიებაც პარლამენტის დროებით კომისიას ევალება. მაინც რა არის თქვენთვის და თქვენი კომისიისთვის ამოსავალი პრინციპი?*

– სიმართლე და სახელმწიფო ინტერესი.

*— განსჯის უფლება მხოლოდ უზენაესს აქვსო, იქნებ, ვიღებთ კიდეც ჩვენს თავზე ცოდვას, როცა განვსჯით?*

– ეს არ გვაშინებს და არც ცოდვად მიგვაჩნია, რადგან კონკრეტულ ფაქტებს ვეყრდნობით. ცნობილია, რომ კომისიაში პროპორციულობის პრინციპით პარლამენტის ყველა ფრაქციაა წარმოდგენილი. გამოსაკვლევ საკითხზე დასკვნის გამოტანისას ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კომისიის ყველა წევრი ერთსულოვანი არ ყოფილიყოს.

*— ალბათ, მრავალი ალსარების მოსმენა გიწევთ. არ გიჭირთ ამდენი ინფორმაციის „გადახარშვა“?*

– სხვათა შორის, ხშირად მეკითხებიან, მაინცდამაინც შენთან რატომ მოდიან საქმის გასარკვევადო. თუ ხმამაღლა ნათქვამში არ ჩამეთვლება, შეიძლება დაგარწმუნოთ, რომ ყველა შემთხვევაში ჩემგან დაცული იქნება ნებისმიერი პიროვნების ინტერესი და ნათქვამი წინ არ დახვდებათ.

*— ვთქვათ, ამოიწურა ყველა საკითხი, რომლის შესასწავლადაც თქვენი კომისია შეიქმნა, გაუქმდება იგი?*

– კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის საგამოძიებო კომისია არ შეიძლება იყოს მუდმივი. ჩვენი უფლებამოსილების ვადაც აპრილში გადის. პარლამენტი, თუ საჭიროდ ჩათვლის, მას ვადას გაუგრძელებს. დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, არ მგონია, ჩვენმა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ ყველა საკითხის შესწავლა აპრილში დაასრულოს.

*— პატიოსნად რომ იცხოვრო, ხანდახან გმირობის ტოლფასიაო, ამბობენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?*

– გმირობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პიროვნება, რომელიც სინდისთან კომპრომისზე არ მიდის და თანამდებობას გამდიდრების საშუალებად არ იყენებს, დამეთანხმებით, მაღალი ზნეობის ადამიანია.

*— თქვენ წლების მანძილზე გქონდათ ქვეყნის ლიდერთან პირადი ურთიერთობის საშუალება — იცავდით მას, როდესაც ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. როგორ იგონებთ იმ წლებს?*

– ჩემს მოვალეობას, ვგონებ, ურიგოდ არ ვასრულებდი. სრული გულწრფელობითა და სუფთა სინდისით მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობაში კორექტული და ყურადღებიანია. აქვს იუმორის დიდი გრძნობა.

*— დაცვის სამსახური მსოფლიოში თავისი იდუმალებითა და რომანტიულობით არის ცნობილი. მაინც რა გრძნობაა, როცა პრეზიდენტს, ქვეყნის პირველ პირს იცავ?*

– ეს არის დიდი ნდობა და დაფასება. თუ ადამიანს პატივს არ სცემ, ვერც დაიცავ. არანაირი ანაზღაურების ფასად ეს არ მოხდება. ეს სამსახური, თავისთავად, რისკიანია. ყველა შემთხვევაში უნდა იყო დასაცავი პიროვნების გვერდით და ყოველგვარი დარტყმაც საკუთარ თავზე მიიღო. ამის მაგალითია 9 თებერვლის ტერაქტი.

*— როგორ არჩევენ კადრებს პრეზიდენტის დაცვისათვის? ამბობენ, საამისოდ სურვილის გარდა განსაკუთრებული მონაცემებიაო საჭირო.*

– რა თქმა უნდა. რაც შეეხება კრიტერიუმებს, ეს ჩვენთანაც ისეთივეა, როგორიც სხვა ქვეყნებში და გულისხმობს პიროვნების მაღალ მორალურ თვისებებს, უნაკლო რეაქციას, სათანადო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას და კიდევ ბევრ სხვა რამეს.

*— ამ ბოლო ხანს, სამწუხაროდ, პრეზიდენტის დაცვამ ორჯერ ჩააბარა მძიმე გამოცდა. 9 თებერვალს მომხდარმა ტერაქტმა ორი რაინდი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ანალიზის შემდეგ გამოითქვა პრინციპული მოსაზრება სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების მისამართით. როგორია თქვენი, როგორც პარლამენტარისა და პროფესიონალის შეფასება?*

– ვეთანხმები ჩემი კოლეგების მოსაზრებებს მომხდართან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, რომელშიც ჩართულია ყველა სამართალდამცავი ორგანო. სჯობს დაველოდოთ შედეგებს და ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ.

*— ყველა სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია გამოძიებას მიაწოდოს ოპერატიული ინფორმაცია, მაგრამ კონტროლის რა მექანიზმი მუშაობს პარლამენტში ობიექტურობის დაცვის თვალსაზრისით?*

– საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის უფლება. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის (რევაზ ადამია), საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის (მიხეილ სააკაშვილი) და დროებითი საგამოძიებო კომისიის (მიხეილ ოსაძე) დახურულ სხდომებზე პერიოდულად მოვისმინოთ სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირების ინფორმაცია 9 თებერვლის ტერორისტული აქტის გამოძიებასთან დაკავშირებით.

*— უშიშროებაში ბევრს შეუძლია სამსახური, მაგრამ ამ სისტემაში მაღალი ჩინის მიღება, ალბათ, არც ისე ადვილია.*

– მართალია. პროფესიონალიზმის გარდა აქ ყველაფერს ექცეოდა და დღესაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მახსოვს, დაოჯახება რომ დავაპირე, ჩემი მომავალი მეუღლის ყველა ახლო ნათესავის პიროვნება შევისწავლე, რადგან ვიცოდი, მაინც გამოიკვლევდნენ და ბარემ, წინასწარ მინდოდა მცოდნოდა – რა ამერჩია, კარიერა თუ მეუღლე.

*— მერე?*

– ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ბატონ ალექსი ინაურს მოვახსენე, რომელმაც მაშინვე მოითხოვა ინფორმაცია ქლენტების ოჯახის შესახებ. ჩემი სიმამრი ტექსელის აჯანყების მონაწილე იყო, მაგრამ იმდენად სუფთა პიროვნება აღმოჩნდა, რომ მის ბიოგრაფიაში არანაირი ლაქა არ ყოფილა.

*— რაო მერე, ინაურმა?*

– რაო და დამილოცნიხართო...

*— თქვენს შესახებ მსმენია, რომ გაქვთ გამორჩეული მეხსიერება და ლოგიკური აზროვნების უნარი, შეგიძლიათ ჭადრაკის თამაში დაფაზე დაუხედავად და ა.შ. მართალია?*

– ეს შეფასება გადაჭარბებულია, ისე, მეხსიერებას ნამდვილად არ ვუჩივი და ჭადრაკის თამაში დაფაზე დაუხედავად მართლაც შემიძლია.

*— ამბობენ, საქართველოში საკმაოდ აქტიურად მუშაობენ უცხოეთის სპეცსამსახურებიო, მართალია?*

– მუშაობენ, და მართლაც ძალიან აქტიურად! ამიტომ, ჩვენი უშიშროების სამსახურის წინაშე მთელი სისავსით დგას დამოუკიდებელი ქვეყნის პრესტიჟისა და ღირსების დაცვის პრობლემა.

*— თქვენი კომისიის დასკვნები სამართალდამცავი ორგანოებისათვის კანონის ძალას იძენს?*

– კანონის ძალას ვერ შეიძენს, რადგან კომისია იკვლევს განსახილველ საკითხს და აკეთებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს პარლამენტს. კომისია უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დააყენოს წინადადება იმპიჩმენტის წესით მაღალი თანამდებობის პირთა გადაყენებისა და ამის თაობაზე პარლამენტის წევრთა ხელმოწერების შეგროვების შესახებ.

*— თუ გაქვთ უფლება თქვენი ინიციატივით დაიწყოთ რომელიმე ფაქტის შესწავლა?*

– პარლამენტის მიერ დამტკიცებული ღებულების მიხედვით ეს შეგვიძლია, მაგრამ დავალება იმდენი გვაქვს, კერძო ინიციატივებისთვის დრო აღარ გვრჩება. თანაც, ჩვენი აქტიურობა მავანს, შეიძლება, სუბიექტურ ინტერესად მოეჩვენოს.

*— თუ აღმოჩნდება, რომ საქმე კომისიის რომელიმე წევრის ახლობელს შეეხება, გაქვთ თუ არა უფლება კომისიის შემადგენლობაში მას დროებით აცილება მისცეთ?*

– ახლა ჩვენი კომისია დეპუტატ ავთანდილ საყვარელიძის განცხადებას სწავლობს. ცნობილი ფაქტია, რომ ფულის გამოძალვის მიზნით მისი ძმა გაიტაცეს. ბატონმა ავთანდილმა თვითონვე მისცა აცილება საკუთარ თავს და გამოგვიცხადა, რომ ამ საქმის მოკვლევის პერიოდში ის ჩვენს კომისიაში აღარ იმუშავებს.

*— თქვენმა კომისიამ, მართლაც, არაერთი გახმაურებული საქმე შეისწავლა. მათ შორისაა „ასტრა დილომის“ პრობლემაც, რომელზედაც პრესაში დიდი აჟიოტაჟი იყო. თქვენი აზრით, რა ბოლო ექნება ამ საქმეს?*

– მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ფირმის საკითხი ზოგადად არ გვაინტერესებს, ასეა „ასტრა დილომის“ შემთხვევაშიც. გვაქვს კონკრეტული მასალები და მოკლე ხანში ინფორმაციას მივაწვდით საზოგადოებას.

*— როგორია თქვენი მუშაობის სტილი?*

– კომისიის მოთხოვნით, სახელმწიფო ორგანოები, იურიდიული თუ კერძო პირები ვალდებული არიან დადგენილ ვადაში წარმოადგინონ საკითხის გამოსაკვლევად აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს.

*— სატელეფონო საუბრების მოსმენაც შეგიძლიათ?*

– როგორც გითხარით, გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით კომისიას ოფიციალურ ინფორმაციას წარუდგენს სახელმწიფო ორგანოც. სათანადო იურიდიული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურამ მიიღოს გადაწყვეტილება ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების განსახორციელებლად.

*— თუკი ინფორმაციის მომცემმა ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა, თქვენ რას აკეთებთ?*

– ყველაფერი უნდა დააფიქსიროს, სხვა შემთხვევაში ჩვენ ინფორმაცია არ გვაინტერესებს. „მეშინია და ხმამაღლა ვერ ვიტყვის“ მთქმელი მოწმე და ინფორმატორი არ გამოგვადგება.

*— თქვენ ჯერ კანონშემოქმედი ბრძანდებით და შემდეგ დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე. გვითხარით, პარლამენტის კანონები რატომ არის ასე ხშირად შესასწორებელი?*

– როცა ვმუშაობთ, ხშირად ვითვალისწინებთ სხვა ქვეყნის გამოცდილებას და გვავიწყდება, რომ რაც უნდა კარგი იყოს, ვთქვათ, გერმანული კანონი, ქართულ სინამდვილეს არ ესადაგება. ერთმა ახლობელმა მითხრა: ხომ შესანიშნავი მანქანაა ლიმუზინი, მაგრამ ჩვენი სოფლის გზებზე ვერ გაივლისო. ამიტომ, სანამ ლიმუზინს შევიძენდეთ, გზა უნდა შევაკეთოთ. არ გამოვრიცხავ ნაჩქარეობასაც, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. ჩვენში ყველაზე დიდი პრობლემა კანონის უზენაესობის დამკვიდრებაა და თუ ამას მოვესწარით, უბედნიერესი ხალხი ვიქნებით. მთავარია, რომ ამ გზით მივდივართ.

*— ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გზებს თანდათან ვაპირკეთებთ?*

– დიახ, მომავალში, ალბათ, შევძლებთ ვიყიდოთ „ლიმუზინიც“.

ესაუბრა
ელზა ჯმუხაძე.

# ჩვენში ყველაზე დიდი პრობლემა კანონის უზენაესობის დამკვიდრებაა

**ამონაწერი დებულებიდან**

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის და „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ“ კანონის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ინტერესებს, პარლამენტში შემოსული ინფორმაციის გამოკვლევისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკა
№70, კვირა, 22 მარტი, 1998 წელი.

## თემის გაგრძელება

# „ვესტერნიზაცია" საქართველოში და მისი საფრთხე

*კულტურათა თუ ცივილიზაციათა ჭიდილი მსოფლიოში სხვადასხვა კულტურების გაჩენისა და მათი ურთიერთობისთანავე დაიწყო და, მას შემდეგ, მუდმივად მიმდინარეობს. ბუნების კანონია, რომ ძლიერი, მრავალრიცხოვანი იმარჯვებს. ასე გაქრა ბევრი ეთნოსი თუ კულტურა, მაგრამ არაერთმა პატარა ერმაც შეძლო თავისი სახის შენარჩუნება. როგორც ჩანს, მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ისინიც საკმაოდ ძლიერნი აღმოჩნდნენ. ასეთ ფენომენთა რიცხვს ქართველი ერიც ეკუთვნის.*

ქართული მენტალიტეტი მეტ-ნაკლებად მუდამ ახერხებდა სხვადასხვა კულტურის, ცივილიზაციის საუკეთესო მიღწევების შეთვისებასა და საკუთარ ყაიდაზე გარდაქმნას, ხოლო უარყოფითის – უკუგდებას. ეს რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა, ქართველ ერს თავისი თვითმყოფადობა და ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა.

იგივე ამოცანის წინაშე ვარ დღესაც: დასავლური ცივილიზაცია, ფასეულობები, ცხოვრების წესი თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალუმად იჭრება. იგი ცდილობს ყველაფერი თავის კანონებს დაუქვემდებაროს და დაამსგავსოს, მოსპოს ყველაფერი, რაც მისთვის არ არის დამახასიათებელი. „ვესტერნიზაციის" გავლენა საქართველოში, ბოლო წლების დემოკრატიული გარდაქმნების შედეგად, განსაკუთრებით გაიზარდა. ბევრს ლაპარაკობენ დასავლურ ცივილიზაციაზე, მის ღირსებებზე, ძლიერებაზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ვესტერნიზაციას" ქართული საზოგადოება გაცილებით უფრო მშვიდად ხვდება, ვიდრე „რუსიფიკაციას", რომლის წინააღმდეგაც სულ რამდენიმე წლის წინათ აქტიურად ილაშქრებდა. ამრიგად, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდებით..

დასავლური ცივილიზაციის სიძლიერე და ღირსება აშკარაა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, არ დავმალოთ მისი ნაკლოვანებებიც. არადა, უნაკლო არაფერია ამქვეყნად.

ალბათ, საინტერესო იქნება, ამ საკითხთან დაკავშირებით, თვით დასავლელი მეცნიერებისა და მოაზროვნეების შეხედულებებს გავეცნოთ.

დღეს საქართველოში ბევრისათვის სანუკვარ ოცნებად ქცეულა დასავლეთის რომელიმე ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ადამიანებს, მათი წარმოდგენით, ყველაფერი უხვადა აქვთ და ამიტომაც ბედნიერები არიან. მაგრამ მრავალი დასავლელი მოაზროვნე და მკვლევარი აღნიშნავს, რომ მატერიალურმა უზრუნველყოფამ დასავლეთის საზოგადოებას სანუკვარი ბედნიერება ვერ მოუტანა. ბევრი ამერიკელი სოციოლოგი ფიქრობს, რომ პროგრესი, სიუხვე და სოციალური დაძაბულობა აშშ-ის კულტურაზე დამანგრევლად მოქმედებს. გაბატონებულმა ქონების კულტმა ერთმანეთში არია მიზანი და საშუალება – ქონება მიზნად იქცა, ყოფიერება კი მასზე დამოკიდებული გახდა. ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, მაგრამ ამით ვერ შეავსეს ის სიცარიელე, მდიდრული ცხოვრების წესმა რომ წარმოშვა (ე. კოდუა, სოციოლოგია, ნაკვეთი I, თბ., 1995, გვ. 120).

ერიხ ფრომი (გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და ფსიქოლოგი) წიგნში „ფლობა, თუ ყოფნა?" (1976 წ.) წერს: დღევანდელ დღემდე, მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე, ფუჭი სიამოვნებისაგან შემდგარი ცხოვრება მხოლოდ მცირერიცხოვანი ელიტისათვის იყო ხელმისაწვდომი. დღესდღეობით, ასეთი ცხოვრება დასავლეთში მთელი საშუალო კლასის ხვედრია. მოხმარებისაგან მონიჭებული სიხარული და სიამოვნება მოსახლეობის უმრავლესობამ განიცადა და ასეთთა რიცხვი სულ უფრო იზრდება... მაგრამ ხალხი ხვდება, რომ ბევრის ფლობა ბედნიერებას არ ანიჭებს. ძველმა ილუზიამ თავისი მომხიბვლელობა მხოლოდ იმათ თვალში შეინარჩუნა, ვისი ცხოვრებაც ამ ბურჟუაზიულ ფუფუნებასაა მოკლებული. ეს დასავლეთის წვრილ ბურჟუაზიასა და „სოციალისტური" ქვეყნების უმრავლესობას შეეხება.

ფრომი ღრმად განიხილავს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ფსიქოლოგიას და ასკვნის, რომ მასში „ნივთომანია" იმდენადაა გაბატონებული, რომ ყოფიერების არსს ფლობა წარმოადგენს. ასეთ საზოგადოებაში ადამიანი არარაობაა, თუკი მას არაფერი გააჩნია. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სფეროს (ცოდნას, რწმენას, სიყვარულს და ა. შ.). ფრომი ფლობას ყოფნას უპირისპირებს და დაასკვნის, რომ სწორედ ყოფნაა ადამიანის ცხოვრების საზრისი, რომელიც გაგებულია, როგორც ორიენტაცია ადამიანზე, მის სულიერ სრულყოფაზე და არა ნივთებზე (Э. Фромм. Иметь или быть. М. 1986, ст. 33, 45, 48).

ფსიქოლოგთა გამოკვლევით, ამერიკელი ქალების დიდ ნაწილს რაღაცის შეძენის გაუთავებელი სურვილი აქვს, რის გამოც, აუარებელ, მათთვის სრულებით უსარგებლო ნივთს ყიდულობენ. ასეთ მიდრეკილებას „სამომხმარებლო ნარკომანია" უწოდეს და მის სამკურნალოდ სპეციალური ცენტრებიც კი შექმნილი (აღსანიშნავია, რომ ბავშვიანი ქალები ამ დაავადებისადმი ნაკლებად არიან მიდრეკილნი, რადგან საკუთარ მოთხოვნილებებს ბავშვს სწირავენ, მაგრამ ზოგიერთი ამ ავადმყოფობას ბავშვისათვის ნივთების შეძენაში ავლენს).

ამ სენს ნარკომანიას იმიტომ უწოდებენ, რომ დაავადებულებს ყიდვის ისეთივე მძაფრი სურვილი უჩნდებათ, როგორც ნარკომანებს – წამლის მიღებისა. მაგრამ ამ უკიდურესი ფორმების გარდა, შეძენის სურვილის უფრო „მსუბუქი" ფორმებიც არსებობს, რომლებიც, როგორც ბევრი დასავლელი მოაზროვნე აღნიშნავს, მთელ საზოგადოებაზეა გაბატონებული. სოციალური პროპაგანდა და სავაჭრო რეკლამა ამას დიდად უწყობენ ხელს.

იაპონელი გამომგონებელი, ინჟინერი ა. კობასიანი წერს: „რეკლამა განუწყვეტლივ და დაჟინებით გვახსენებს – იყიდე, იყიდე, იყიდე... საწაულებრივმა საქმოსნობამ, ოქროს კერპის გამოდევნებამ ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ფესვები გაიდგა".

საზოგადოებაში „ნივთთა ტირანიაა". ნივთები ადამიანზე მუდმივ დაწოლას ახდენენ, შეძენა ცხოვრების თითქმის ერთადერთი მიზანი ხდება, „ადამიანი კარგავს თავის სახეს, ხდება ნივთის მონა, მორალური ინვალიდი" (Кассис В., Колосов Л., Стуруа М., Тирания вещей. М. 1983. ст. 3).

ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ადამიანთა უმრავლესობას ნივთთა ტირანია გაცნობიერებული არა აქვს და მის პროპაგანდას მორჩილად მიჰყვება.

ნივთთა ტირანია კულტურულ-იდეოლოგიურ ექსპანსიად გვევლინება. ის ცალკეულ ერებს თავიანთ თვითმყოფადობას ართმევს. კობასიანი წერს: „იაპონიაში, დიდი ხანია, გაჩნდნენ ბოსები, რომელთათვის სამშობლო მხოლოდ ადგილსამყოფელია, სხვა დანარჩენი კი – ქცევის მანერა, ცხოვრების წესი – შეერთებული შტატებიდან აქვთ ნასესხები" (იქვე).

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამას ისეთი ქვეყნის მოქალაქე წერს, რომელმაც, როგორც ითვლება, შედარებით უფრო მეტად შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადი, განუმეორებელი სახე, თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ისიც დასავლური ტიპისაა.

მსგავს პროპაგანდისტულ პოლიტიკას ფრომი „ტვინის რეცხვას" უწოდებს. მისი აზრით, ეს მეთოდები გვაიძულებს არა მარტო ვიყიდოთ ნივთები, რომლებიც ჩვენ სრულებით არ გვჭირდება და რომელთა შეძენაც არ გვსურს, არამედ გვაიძულებს ის პოლიტიკური მოღვაწენი ავირჩიოთ, რომელთაც არასოდეს ავირჩევდით, თუკი საკუთარ თავს სრულად გავაკონტროლებდით... ასეთ პროპაგანდაში ჰიპნოზური ზემოქმედების მეთოდები გამოიყენება... რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ნათელ და კრიტიკულ აზროვნებას.

ასეთი პროპაგანდის მიერ ადამიანისათვის მიყენებულ ზიანს ფრომი უფრო მწვავედაც კი აფასებს, ვიდრე ნარკოტიკების ზეგავლენას. გონებაზე, რეალობის გრძნობაზე ისეთი შეტევა, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ახორციელებენ, მუდმივად თან სდევს ადამიანს, წამითაც არ აძლევს სულის მოთქმის საშუალებას: არც ტელევიზორთან მრავალსაათიანი ჯდომის დროს, არც ავტომობილის საჭესთან და ა. შ... „ამ მეთოდების სპეციფიური შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნახევრად თვლემის მდგომარეობას ქმნიან, როცა ადამიანს ნახევრად სწამს და არც სწამს იმისა, რაც ხდება, როცა იგი რეალობის შეგრძნებას ჰკარგავს (Э. Фромм. Иметь или быть. ст. 210)

ფრომი წერს: საკვირველია, რატომ უყვართ თანამედროვე ადამიანებს ყიდვა და მოხმარება, მაგრამ არ უფრთხილდებიან იმას, რასაც მოიხმარენ? მუდმივი მიდრეკილებების არარსებობა ასეთი ხასიათის ადამიანებს შეძენილი ნივთებისადმი გულგრილს ხდის და, ალბათ, ერთადერთი, რასაც მათთვის მნიშვნელობა აქვს, არის პრესტიჟი ან კომფორტი, ეს ნივთები რომ იძლევიან, და არა თვით ნივთები, როგორც ასეთები. არსებითად, ისინიც ისევე მოისმარებიან, როგორც მეგობრები, თუ საყვარლები, რადგან ღრმა, საფუძვლიანი ერთგულება არც მათდამი აქვთ (იქვე, გვ. 172).

ამერიკელი სოციოლოგი დევიდ რისმენი ამერიკელებს „ეულ ბრბოს" უწოდებს. მისი თქმით, ამერიკელები ზურგს აქცევენ ისეთ ტრადიციულ „შინაგან პრინციპებს", როგორიცაა თვითკონტროლი, პურიტანული შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა. გაჩნდა სწრაფვა საპირისპირო მიმართულებით. სულ უფრო ბატონდება სწრაფვა წარმატების, მაღალი პრესტიჟის, სიმდიდრის, მატერიალურ საგანთა მოხმარების სურვილი, ეგოცენტრიზმი. ამერიკელთა ძირითად მიზნად სხვების მოწონების დამსახურება ხდება. ასეთ საზოგადოებას მართავს არა ადამიანთა შინაგანი შეგნება, არამედ გარეგანი ფაქტორები, ამიტომაც რისმენი ასეთ საზოგადოებას სხვებზე მართულს უწოდებს. მისი აზრით, ასეთია არა მხოლოდ ამერიკის, არამედ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის დიდი ქალაქების საზოგადოებაც (Н. Смелзер, Социология. М. 1994, ст. 60).

ფრომის აზრით, მსგავსი თვისებები ახასიათებს დასავლეთის მთელ ინდუსტრიულ საზოგადოებას. იგი წერს, რომ ამ საზოგადოების წევრებს „საბაზრო ხასიათი" გააჩნიათ. ასეთი ადამიანის თვისებაა სწრაფვა გარემო პირობებისადმი სრული ადაპტაციისაკენ. იგი ცდილობს, ყოველთვის საჭირო იყოს, საკუთარ თავზე მოთხოვნილება ნებისმიერ პირობებში შეინარჩუნოს. ასეთ ადამიანებს არა აქვთ საკუთარი „მე", რომელსაც შეუძლიათ დაეყრდნონ, რადგან მათი „მე" მუდმივად იცვლება შესაბამისად პრინციპისა – „მე ისეთი ვარ, როგორიც მე თქვენ გჭირდებით". ასეთი ადამიანები (ყოველ შემთხვევაში – შეგნებულად) არ ინტერესდებიან ისეთი ფილოსოფიური ან რელიგიური საკითხით, როგორიცაა „რისთვის ცხოვრობს ადამიანი?" მათ არ შეუძლიათ უყვარდეთ ან სძულდეთ. ეს ძველმოდური ემოციები მათი ხასიათის სტრუქტურას არ შეესაბამება.

„ეკონომიკა, როგორც ცხოვრების საზრისი – სასიკვდილო ავადმყოფობაა" – წერს ე. ფ. შუმახერი (წიგნი „მცირე მშვენიერია") – რადგან მისი უსაზღვრო ზრდა შეზღუდული მსოფლიოს შესაძლებლობებს არ შეესაბამება. ეს ავადმყოფობა ალკოჰოლიზმსა თუ ნარკომანიას ჰგავს" (იქვე, გვ. 187).

აშშ სოციოლოგი ლეო ლოუვენთალი წერს: მასობრივი კულტურა, რომელიც აშშ-შია გაბატონებული, ზედაპირულია და სულიერად ნაკლებად ამდიდრებს ადამიანს, ვიდრე მაღალი კულტურა, რომელიც შემოქმედებით შთაგონებასა და ღრმა აღქმას ახასიერებს. მას არ შეუძლია ჭეშმარიტი გრძნობები აღბეჭდოს. ნაწილობრივ ამის გამოც, ამერიკულ საზოგადოებაში პიროვნების სრული რეალიზაციისათვის პირობები არ არის შექმნილი (Н. Смелзер, Социология. М. 1994, ст. 60).

ფრომის აზრით, ყველაზე გამაოგნებელი ის არის, რომ ადამიანმა საკუთარი თავი ღმერთად, ყოვლისშემძლედ წარმოიდგინა. ეს იმაში გამოიხატება, რომ მან, ტექნიკური საშუალებების მეოხებით, მეორე სამყარო შექმნა, ნაცვლად იმ სამყაროსი, რომელიც, ტრადიციული რელიგიის მტკიცებით, ღვთის შექმნილია (Э. Фромм. Иметь или быть. ст. 164-175).

შვაიცერი უფრო შორს მიდის. 1952 წელს, ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში დასავლურ საზოგადოებაზე საუბრისას მან ბრძანა: „ადამიანი ზეადამიანად იქცა... მაგრამ, ზეადამიანური ძალით დაჯილდოებული, იგი ზეადამიანურ გონებამდე ჯერ კიდევ არ ამაღლებულა. რაც უფრო იზრდება მისი ძალა, მით უფრო ღარიბდება იგი... რაც უფრო მეტად ვხდებით ზეადამიანები, მით უფრო არაადამიანებად ვიქცევით" (იქვე, გვ. 182).

„ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, – აგრძელებს შვაიცერი, – რომ კულტურის თვითგანადგურება გამალებით მიმდინარეობს. ისიც კი, რაც გადარჩა, არ არის მტკიცე. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ რაღაც მტკიცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან, გარეშე დამანგრეველი გავლენა არ განუცდია... მაგრამ ეს საფუძველი სუსტია და შემდგომ მეწყერს შეუძლია იგი უფსკრულში გადაიყოლოს" (იქვე, გვ. 33).

ზოგიერთი მოაზროვნე, დასავლურ საზოგადოებაში გამეფებული სულიერი კრიზისის მიზეზად ტრადიციული რელიგიების როლის დაკნინებას მიიჩნევს. მათი აზრით, სწორედ ეს იწვევს სხვადასხვაგვარი, ხშირად ადამიანისათვის საშიში სექტისა თუ მოძღვრების მოძალებას, რომელთა მსხვერპლი უბრალო ხალხი ხდება.

გერმანიის დასაქმების მინისტრი, ნ. ბლუმი ბრძანებს: „მატერიალური კეთილდღეობის მიუხედავად, დღეს ადამიანები სულიერ, ტრანსცენდენტურ „შიმშილს" განიცდიან, მიწოდების დეფიციტი სწორედ ამ სფეროში არსებობს... ამ დეფიციტის შევსება ეკლესიებს ევალებათ (იგულისხმება, კათოლიკური და პროტესტანტული კონფესიები, ვ. კ.), მათ კი რატომღაც ეშინიათ ადამიანის მისტიურთან ზიარების ფუნქცია შეასრულონ. მათ ღვთისმსახურებაში ეკლესიური მოძღვრება საზოგადოებისადმი სოციალურ მზრუნველობამდეა დაკნინებული (რის გამოც, მე ღვთისმსახური სრულებით არ მჭირდება), ხოლო დანარჩენზე, ანუ უმთავრესზე, ანუ უფალზე საუბარს ისინი ხშირად მორცხვ დუმილს ამჯობინებენ. თითქოს ეს მათთვის უცნობი საგანი იყოს. ამგვარად, ბურთი და მოედანი ათასი ჯურის შარლატანსა და ეშმაკის მოციქულს რჩება, რომლებიც იკავებენ კიდეც ეკლესიების ადგილს" (ჟურნალი „შპიგელი", 1995 წ., № 48).

აშშ-ის ემორის უნივერსიტეტის (ატლანტის შტატი) პროფესორი, ანთროპოლოგი ჩარლზ ნუქოლზი დასძენს: „ჩვენ ისეთ ღირებულებებს ვაქციეთ ზურგი, რომლებიც ჩვენს წინაპრებს უმთავრესად მიაჩნდათ – რელიგიასა და ოჯახს. ადამიანებს კი იმის შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს მათ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დაკარგეს... და აი ისინი ამ დაკარგულს... სხვადასხვა სექტებთან და გურუებთან, „მასწავლებლებთან", თუ „ოსტატებთან" ეძებენ... „სწამთ ყველაფრის – ქაჯების, მკითხავების, მოჩვენებების, ამოუცნობი მფრინავი ობიექტების, უცხოპლანეტელებთან კონტაქტის შესაძლებლობის" (ჟურნალი „შპიგელი", 26.12.94, № 52).

ოჯახის ინსტიტუტის მოშლა დასავლური საზოგადოების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა. გერმანელი ჟურნალისტი ალაუს იაქობი წერს: „იმედგაცრუების XX საუკუნეში ბევრმა გერმანელმა ტრადიციული ქორწინების ღირებულებაში ეჭვი შეიტანა". მათი ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს: „რატომ უნდა ეცადო, სანამ სიკვდილი განგაშორებს, რატომ არ შეიძლება არსებობდეს სიხარული ბორკილების გარეშე, რატომ არ შეიძლება მოხუცი ახალგაზრდით შეცვალო?".

ჟურნალისტს შემდეგი მონაცემები მოჰყავს: გერმანიაში განქორწინებათა რიცხვი 1950 წ. 49 ათასს შეადგენდა, 1994 წ. (ქვეყნის გაერთიანების შემდეგ) – 166 ათასს. ამრიგად, ეს მაჩვენებელი სამზე მეტჯერ გაიზარდა. ქორწინებათა რიცხვი 1950 წ. 750 ათასი იყო, 1994 წ. 440 ათასი (გაერთიანების მიუხედავად). მარტოხელათა რაოდენობამ 1970 წ. 5,5 მლნ. შეადგინა, 1994 წ. – 12,7 მლნ. ეს მსოფლიო რეკორდია!

მსგავსმა პროცესებმა, იაქობის თქმით, ყველა მნიშვნელოვანი განვითარებული სახელმწიფო მოიცვა. ამ ტენდენციის ფესვები, ჟურნალისტის აზრით, კეთილდღეობაში, ეგოიზმში, მატერიალიზმსა და ცხოვრების ახალი ფორმების ძიებაში ძევს. სულ უფრო მეტი მამაკაცი თუ ქალი ოჯახს პირად თავისუფლებას, წარმატებასა და სიამოვნებას ამჯობინებს (გაზეთი „ბილდი", 19.04.97).

ოჯახების რიცხვის შემცირებამ დასავლეთში შობადობაც შეამცირა. უკვე რამდენიმე ათწლეულია, ეს მაჩვენებელი იმ ზღვარზე ნაკლებია, რომელიც ადამიანთა მოდგმის აღწარმოებისთვისაა საჭირო. რუსი მეცნიერი კუზნეცოვი, ამასთან დაკავშირებით, დასძენს: თუ შობადობა არ გაიზრდება, „დასავლური ცივილიზაცია თვითონ მოკვდება, ისტორიის გარეგანი „გამოწვევების" გარეშე (А. Кузнецов, О новой модели традиционных цивилизации, Международная жизнь, М,. 1995, №.4-5, ст. 108)".

*ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ნაწილია დასავლური საზოგადოების ნაკლოვანებებისა. ამის თაობაზე გაცილებით უფრო მეტის თქმა თუ დაწერა შეიძლება. ბოლოს იმასაც ვიტყოდით, რომ ყველაფერი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, შესაძლოა სადავოც იყოს, მაგრამ გამალებული „ვესტერნიზაციის" პირობებში ნამდვილად გვმართებს იმ ადამიანთა აზრის გათვალისწინება, რომელთაც ამ პროცესის ავ-კარგი საკუთარ თავზე გამოსცადეს.*

**ვახტანგ კობალაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეემატა სამი ათასამდე ტონა წყალწყვის და ოთხ მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების უდიდესი წყალქვეშა ნავი. ხომალდი წყალში ჩაუშვეს კობეს ნავსადგურში.

## რა ბედი ეწევა მშვიდობიან პროცესს?

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი, რომელიც ვიზიტად იმყოფება ისრაელსა და პალესტინის ავტონომიაში, ცდილობს „სიცოცხლე შთაბეროს" შეფერხებულ სამშვიდობო პროცესს, იუწყება როიტერის სააგენტო.

კუკმა ევროპის კავშირის სახელით განაცხადა, კერძოდ, რომ იერუსალიმის არაბულ ნაწილში ებრაული კვარტალის მშენებლობა მთავარ დაბრკოლებად აღიმართა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, როცა დაიწყო ხარ-ხომის კვარტალის მშენებლობა, ბევრმა ანალიტიკოსმა ისრაელის მთავრობის პოზიციას „დასასრულის დასაწყისი" უწოდა.

პალესტინის ლიდერ არაფატთან შეხვედრის შემდეგ, სამშენებლო მოედნის დათვალიერების დროს კუკმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირი შეშფოთებულია მშვიდობიანი პროცესის ბედით. ისრაელები მის სიტყვას გულისწყრომით შეხვდნენ და შეურაცხმყოფელი შეძახილებიც გაისმა. როგორც ისრაელის მინისტრთა კაბინეტის წევრმა დენი ნავეხამ თქვა, რადგან ევროპის კავშირი ხელს არ იღებს პროპალესტინურ პოლიტიკაზე, კუკის ვიზიტი სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

## რომელ პარლამენტს არა ჰყავს თითო-ოროლა დამნაშავე დეპუტატი?!

არჩევნების წინ შეთხელდა ყირიმის პარლამენტის დეპუტატთა კორპუსი. როგორც ყირიმის პროკურატურის პრესსამსახური იუწყება, სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს ავტონომიის განათლების მინისტრი იური პოდკოპაევი. იგი ეჭვმიტანილია თაღლითურ გარიგებაში მონაწილეობაზე. მინისტრის ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე გამოიყო 100 ათასი გრივნა ობოლი ბავშვების დასვენების ორგანიზაციისათვის, მაგრამ შემდეგ არც საგზურები უყიდიათ და ფულიც გაქრა.

მეორე ყირიმელი დეპუტატი, საავიაციო კომპანია „ატლანტსე"-ის დამფუძნებელი ვასილ შპილკინი კიევში დააკავეს. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ავტონომიის ფინანსთა სამინისტროში 150 ათასი დოლარის ოდენობის კრედიტის უკანონო მიღების ფაქტის გამო.

პარლამენტის სხდომას ვერ დაესწრო ვერც ეკონომიკური აღორძინების პარტიის ლიდერი დეპუტატი ვლადიმერ შევიევი, რომელიც რუსეთში ემალება მართლმსაჯულებას. მას, როგორც სააქციო საზოგადოება „სელენას" ხელმძღვანელს, წაყენებული აქვს ბრალდება განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცებაში. შევიევის თანამონაწილეთა შორის ირიცხება, აგრეთვე, ყირიმის ყოფილი პრემიერ-მინისტრი არკადი დემიდენკო.

## ავტობუსის ლოდინი სამუშაო დროში არ შედის

ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონი" რამდენიმე სტატიას უძღვნის 35-საათიან სამუშაო კვირაზე გადასვლის პრობლემას. მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, დამქირავებლები პირდაპირ ნადირობენ სამუშაო დროზე. მათ სურთ, აქედან გამორიცხონ დრო, რომელიც მუშაკს ეხარჯება მგზავრობაში, სადილობის შესვენებაზე, თამბაქოს წევაზე და სხვა არამწარმოებლურ „მოცდენაზე", მათ შორის, საპირფარეშოში სიარულზე. ამრიგად, ზოგიერთი ფრანგული საწარმოს მეპატრონენი ამტკიცებენ, რომ მათი მუშები კვირაში ისედაც 34 საათს შრომობენ. ანუ 35-საათიან კვირაზე გადასვლა შეიძლება ვირტუალური აღმოჩნდეს, თუ არ იქნა შეტანილი სრული იურიდიული სიცხადე „სამუშაო დროის" ცნებაში". და ალბათ, მოსამსახურეებსა და დამქირავებლებს არა ერთი ცხარე შეტაკება ექნებათ სწორედ ამ დროისათვის ბრძოლაში. ჯერჯერობით კი, საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო 35-საათიანი სამუშაო კვირის კანონპროექტის წინათ მიღებული შესწორება, რომელიც „ეფექტიან სამუშაო დროს" განმარტავდა როგორც „დროს, რომლის განმავლობაში მოსამსახურე იმყოფება დამქირავებლის განკარგულებაში". ხოლო, სენატმა ამ ფორმულირებას დაუმატა სიტყვები „... და ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობებს", რითაც „სამუშაო დროის" ცნებიდან გამორიცხა ავტობუსის ლოდინი, მეტროთი მგზავრობისა თუ საავტომობილო ხერგილით დროს გზის გადაკეტვისას უქმად დგომის დრო.

## მცემა ნავთობის ფასები

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ დონეზე დავიდა დუბაის ნედლი ნავთობის ღირებულება. დუბაის ნავთობის ბარელის ფასმა, რომელიც ერთგვარი ორიენტირია აზიის ქვეყნებში ექსპორტირებული ყველა სახეობის ახლოაღმოსავლური ნავთობისათვის, გუშინ ლონდონში 10,22 აშშ დოლარი შეადგინა. ექსპერტთა აზრით, მსოფლიო ნავთობის ბაზარზე ფასების ახალი კრიზისის მიზეზია ეკონომიკური უძრაობა აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და ნავთობის ჭარბწარმოება.




ცნობილი გერმანული კომპანიის „სიმენსის" ასობით მოსამსახურემ და პროფკავშირთა წარმომადგენელმა მთელ გერმანიაში მოაწყვეს საპროტესტო აქციები ფირმის მფლობელთა იმ გეგმების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია სამუშაო ადგილების შემცირება.

## აუგუსტო პინოჩეტს იმპიჩმენტისა არ ეშინია

გადამდგარი გენერალი და სენატორი აუგუსტო პინოჩეტი გულწრფელად არის გაოცებული და შეურაცხყოფილი პარლამენტარი კოლეგების ცდებით, იმპიჩმენტი გამოუცხადონ ყოფილ დიქტატორს, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. პინოჩეტს უკვე ერთ კვირაზე მეტია, უკავია სამისდღეშიო სენატორის პოსტი, რომელიც თვითონვე განიმზადა. საპატიო პოსტზე დადგომას თან ხლევდა საზეიმო ცერემონიები, სამხედრო აღლუმი და მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები როგორც სენატში, ისე მის კედლებს გარეთ. პინოჩეტს ემუქრება იმპიჩმენტი „ქვეყნის უსაფრთხოებისა და ღირსებისათვის ვნების მიყენების გამო". არის გარანტიები, რომ ბრალდებას მხარს დაუჭერს ჩილეს კონგრესის ქვედა პალატა. სენატში კი ძალზე ძლიერია მემარჯვენე უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერს პინოჩეტს. კანონის მიხედვით, სენატის დადგენილება საბოლოო და უცილობელია. მოქალაქენი პინოჩეტს ბრალად სდებენ ადამიანის უფლებების დარღვევას და საკუთარი ერის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს. მარტო ოფიციალური მონაცემებით, გენერალ აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის 17 წლის მანძილზე ხელისუფლებამ 3 ათას კაცს გაუსწორეს ანგარიში პოლიტიკური მიზეზების გამო.



ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მიმდინარეობს სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები ახალი მინისტრთა კაბინეტის წინააღმდეგ, რომელიც ვერ აუდის უსასტიკეს ეკონომიკურ კრიზისს.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით.

შეადგინა
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№70, კვირა, 22 მარტი, 1998 წელი.

ჩვენ — ადამიანები

# ოცდაათ სტრიქონში ჩატეული ადამიანური სევდა და სიხარული

თითქმის ორი წელიწადია, რაც მშობლები აღარა მყავს და გამუდმებით მაწვალებს იმაზე ფიქრი, როგორი შვილი ვიყავი მათთვის. ვცდილობ გავერკვე, ვერ გავუკეთე ის, რაც ეკუთვნოდათ, თუ არ გავუკეთე. ვაი, თუ არ გავუკეთე, მაშინ ხომ შენდობაზე ფიქრიც ზედმეტია...

ამას წინათ, სრულიად ახალგაზრდა გამომძიებელმა მითხრა: პროფესია უნდა გამოვიცვალო, რადგან ჩემისთანა კაცი ამ საქმეში არ გამოდგება, დაზარალებულისა თუ დამნაშავის დედაში დედაჩემს ვხედავო. აშკარა იყო, ყმაწვილს ის გრძნობა მორეოდა, დედაშვილობა რომ ჰქვია. მერე ის მოხუცი გამახსენდა, რედაქციაში შვილსა და რძალს რომ უჩიოდა, მე და ჩემს დედაკაცს გვცემენ, თქვენგან იმდენი რა სარგებელი გვაქვს, ოთახს რომ გვიხაფრავთო.

სარგებელიო — გესმით?

იმაზე მეტი სასარგებლო და გასახარი რა უნდა იყოს, მშობლები ცოცხალი გყავდეს და შენთან ცხოვრობდნენ?

მითხრა კიდეც ამას წინათ ხანმოწეულმა კაცმა: ხელისუფლებისთვის კი არა, პენსიონერი საკუთარი ოჯახის წევრებისთვისაც გაზედმეტდაო...

არადა, რამდენი მათგანი ჯერ კიდევ მხნე და მემართულია, საინტერესო ცხოვრებაგამოვლილი, სასიამოვნო მოსაუბრეა, რომელთაგან ბევრი სასიკეთო რამის სწავლა და მოსმენა შეგვიძლია.

საკუთარი მშობლების მოძულე კაცი სხვის მოხუცს ვერ შეიყვარებს, პატივს ვერ მიაგებს, ვერ შეიფარებს.

ორი დღის წინათ რედაქციის მოპირდაპირე მხარეს მდებარე აფთიაქის კარში ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს შევეფეთე, იგი გამოდიოდა. აფთიაქში შესულმა კი ვნახე, როგორ სიხარულით ჩაებღუჯა წელში მოხრილ ხანდაზმულ ქალს ნაირ-ნაირი წამლები და გაოცებული კითხულობდა: ვინ იყო ის მადლიანიო? პოეტს გადაუხდია მისთვის წამლების საფასური.

ვინ იყო, ჯერ კიდევ მარტის სუსხში გაცრეცილი მოსასხამის ამარა ქუჩაში გამოსული მოხუცი, არ მიკითხავს, იგი, უდავოდ, დღეს გაუსაძლის ყოფაში მცხოვრებთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომელიც იმ დღეს, უფლის წყალობით, მადლიან კაცს გადაეყარა.

დასაბამიდან მოწყალეა ღმერთი ჩვენი უმწეოთა მიმართ.

მით უფრო, რა უფლება გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, გულგრილად ჩავუაროთ საშველად გამოწვდილ ხელსა თუ მუდარით სავსე თვალებს. ან ურნაში მოვისროლოთ გამოხმაურებისა და მხარში ამოდგომის იმედით ქაღალდის ნაგლეჯზე სულ ოცდაათიოდე სტრიქონში ჩატეული ადამიანური სევდა თუ სიხარული? ამიტომაც გაჩნდა ჩვენს გაზეთში ეს გვერდი, რომელშიც დროდადრო, წუხილის გარდა, საინტერესო ხანდაზმულთაც შეხვდებით.

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**



> სოციალური საკითხების რედაქცია დღეს გთავაზობთ გვერდებს, რომლებშიც შეძლებისდაგვარად ავსახეთ ხანდაზმულთა პრობლემებიცა და სიხარულიც.

მადლობა

# იამზე



ჩუღურეთში, ხეთაგუროვის ქუჩაზე, გამგეობის გვერდით რვასართულიანი სახლის წინ დგას „მაცნეს" ჯიხური 51. ხუთი წელიწადია აქ გულრიფშიდან იძულებით გადაადგილებული იამზე ბესელია მუშაობს.

უბანმა თავიდანვე თბილად მიიღო ლტოლვილი. სათნო ქალბატონმა იცის ვის უჭირს, ვის სჭირდება დახმარება. ასაკოვანი ადამიანის განსაკუთრებული პატივისცემა, გულთბილი დამოკიდებულება აფხაზეთში მცხოვრებთ არ ესწავლებათ, ამას ჩვენი უბნის მოსახლეობისადმი იამზეს დამოკიდებულებაშიც ვგრძნობთ.

... ჯიხურთან რიგი არ წყდება. მან იცის, ვინ რომელ გაზეთს ელოდება. მსურველი ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით უჭირთ პენსიონერებს. იამზე თითოეულს იცნობს, ენდობა და ზოგს რამდენიმე საათით გვათხოვებს სასურველ გაზეთს, ზოგსაც პენსიის აღებამდე გვაცლის საფასურის გადახდას.

— თუ ჩემს ეზო-გარემოში დაბრუნება მეღირსა, უბანს, რომელმაც აფხაზეთიდან დევნილს მძიმე წლები გადამატანინა, არ დავივიწყებ. სტუმრად გელოდებით, ასაკოვანთ ზღვის სანაპიროზე დაგასვენებთო, — გვპირდება კეთილი ქალბატონი.

ღმერთმა ნატვრა აუხდინოს.

**ქეთევან წულაძე,**
პენსიონერი.

გვწერენ

# დაგვიბრუნეთ ნაჩუქარი შეღავათი

ჩვენ, საავიაციო ქარხანა № 31-ის ვეტერანები, რომლებიც ქარხანაში დიდ სამამულო ომის პერიოდშიც ვმუშაობდით და ზოგიერთი ომის შემდეგაც, ეს შრომა მთავრობის ჯილდოებით ღირსეულად დაგვიფასდა. კიდევ უფრო მეტად დაგვიფასდა, როცა, ჯერ კიდევ, წინა პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ქარხნის ვეტერანთა (სხვა უწყებათა ვეტერანთა ერთად) ომში უშუალო მონაწილეებთან გათანაბრებას.

ამ დადგენილებას დაემატა ისიც, რომ 1997 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ომის ვეტერანთა პენსიების გაზრდის თაობაზე, რაც განხორციელდა კიდეც.

ქარხნის ვეტერანები, ისე როგორც საერთოდ ომის ვეტერანები, ვსარგებლობდით უფასო მგზავრობითაც. გვქონდა უფასო ელექტროენერგია, ტელეფონი, და კომუნალური მომსახურება.

1998 წლის დასაწყისიდან ყველა ეს შეღავათი ქალაქის მერიამ გააუქმა. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა.

მართალია, ქალაქის მერიას სხვადასხვა ღონისძიებები აქვს განსახორციელებელი, რომელიც დამატებით დაფინანსებას მოითხოვს, მაგრამ ვის ხარჯზე? ჩვენი, ვეტერანების ხარჯზე? განა სიცოცხლის რამდენი დღე დაგვრჩა, რომ სიდუხჭირეში გავატაროთ? ჰქონდათ კი ამის უფლება?

მოგმართავთ დახმარებისათვის, რადგან, ვფიქრობთ, ქალაქის მერიამ უნდა მოახერხოს და აღგვიდგინოს ის შეღავათები, რომელიც ხელისუფლების მიერ გვქონდა მოცემული. ვგულისხმობთ, იმ ვეტერანებს, რომელთაც, უპირველესად, მიღებული აქვთ მედალი „1941-45 წლებში დიდი სამამულო ომში თავდადებული შრომისათვის".

**საავიაციო ქარხნის ვეტერანები.**

სათნოება

# „კათარზისის" მოხუცები

მოხუცებულთა თავშესაფარ ასოციაცია — კათარზისს, რომელიც კერძო გულშემატკივართა ინიციატივით 1990 წელს შეიქმნა, დღესდღეობით ქალბატონი მარინა გონაშვილი ხელმძღვანელობს.



სახლი 25 მოხუცის საცხოვრებლად არის განსაზღვრული და მათ განკარგულებაშია ბიბლიოთეკა, საკონცერტო დარბაზი, მოსასვენებელი ოთახი, სტომატოლოგიური კაბინეტი, აფთიაქი, სასადილო... ასოციაციას, საკმაოდ გამოცდილი, პირადი ექიმი გულიკო რომანიშვილი ემსახურება.

„სათნოების სახლი" ყველანაირად ეხმარება მწოლიარე მოხუცებს, მაგრამ, არც უპრობლემობაა: ძალიან აწუხებთ ელექტროენერგიის კრიზისი, მედიკამენტების სიმცირე, ერთჯერადი კვება... თუმცა, მიუხედავად ამისა, „კათარზისში" მოხუცი თავს მაინც კარგად გრძნობს. კითხულობენ, საუბრობენ, კამათობენ, მღერიან, ქსოვენ, კერავენ... და კიდევაც ოჯახდებიან. ცოტა ხნის წინათ კი აქ სამლოცველოც გაიხსნა. ლოცულობენ მოხუცები და მათ გვერდით დგანან ადამიანები, რომლებმაც იციან: მოხუცებს სითბო, ალერსი, თანაგრძნობა და მორალური მხარდაჭერა სჭირდებათ.



**მაკა ცნობილაძე.**
ვალიკო მაჭავარიანის ფოტო.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სიახლე

# პენსიების განაწილებისათვის „საფოსტო ბანკი" იზრუნებს

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სხვადასხვა მოდელი არსებობს. ჩვენი მოდელი განსხვავებულია.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს პენსიებსა და სხვადასხვა სოციალურ დახმარებებს ხელისუფლება ნიშნავდა. დღეს, როდესაც, საქართველოს ხელისუფლებამ ახალი სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს აგების მოდელი შეიმუშავა, სოციალური დაცვის საბჭოური მოდელი აღარ გამოდგება.

რეფორმის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ამოცანა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაა. აღნიშნულ საკითხებს ეძღვნებოდა ამ დღეებში სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში ჟურნალისტებისათვის გამართული ბრიფინგი, რომელსაც ესწრებოდნენ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ოთარ ხუფენია და საფოსტო ბანკის პრეზიდენტი სერგო იაკობიძე.

მათ ვრცლად ისაუბრეს მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფაში არსებული შეფერხებების შესახებ.

1994-95 წლებში სოციალური დაზღვევის სფეროში სახსრები გაიფანტა, ბევრი ბანკი გაკოტრდა, პენსიები გვიანდებოდა. არსებული ვითარებიდან თავდასაღწევად გზის მოძებნა იყო საჭირო.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა სოციალური პოლიტიკის კონცეფცია განიხილა, რომელიც პლენარულმა სხდომამ დაამტკიცა. საჭირო გახდა საქართველოში ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, სოციალური დაზღვევის სახსრების ერთ სისტემაში თავმოყრა, რაც მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფის საკითხს მოაწესრიგებდა. ეს კი ტენდერის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. მასში სხვადასხვა საბანკო დაწესებულებები მონაწილეობდნენ. „საფოსტო ბანკმა" გაიმარჯვა.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკი" 1995 წლის 10 ივლისს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები არიან კავშირგაბმულობის სისტემის ორგანიზაციები. ბანკის მომსახურების ძირითადი საგანი სოციალური სფერო იქნება. ამ მიზნით იგი საფილიალო ქ ს ე ლ ს აყალიბებს. საქართველოს 22 რაიონში უკვე მოქმედებს საფოსტო ბანკის ფილიალი. მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება. ფილიალები, ძირითადად, ფოსტის განყოფილებების შენობაში არიან განლაგებული, რომლებიც საპენსიო ფონდის 80 პროცენტსა და კავშირგაბმულობის სფეროში შემავალი კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების ანგარიშებს ემსახურებიან. მათი 80-85 პროცენტი კი საფოსტო ბანკის ქსელშია თავმოყრილი.

სოციალურ სფეროში კიდევ ერთი სიახლეა. სოციალური დაზღვევის სახსრები „საფოსტო ბანკის" სისტემაში გაერთიანდება, ეს ხელს შეუწყობს საპენსიო უზრუნველყოფაში საბანკო მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

**მაია ასაკაშვილი.**

> **პენსიონერთა რეგისტრაცია**
> იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ე. წ. „მკვდარი სულების" რაოდენობა, შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრო აწარმოებს იმ პენსიონერთა რეგისტრაციას, რომლებიც შემნახველი სალაროების მეშვეობით იღებენ კუთვნილ თანხას. 3500-მა გაიარა. ვინც 1 აპრილამდე არ გაივლის ამ პროცედურას, პენსიას ვერ მიიღებს.
> 32 ათასი პენსიონერიდან, რეგისტრაცია

ქველმოქმედება

# როგორც ბეღურების გუნდი საკენკზე

ხელგაშვერილ მათხოვარს ცხინვალში ვერსად ნახავთ. სამაგიეროდ, რამდენი გაბოროტებული ადამიანი მხვდება ქუჩაში, ბაზარში, რაიმე საბაბით, თუ უსაბაბოდ ავი მზერითა და ეკლიანი სიტყვებით რომ იჩხვლიტებიან. ესენი სწორედ ის უპოვარნი და ლატაკნი არიან, სამუშაო რომ არა აქვთ, „დასატრიალებელი" თანხები ვერ იშოვეს, რაც გასაყიდი ჰქონდათ, გაყიდეს და დღეს ლუკმაპური (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) სანატრელი გახდომიათ.

შარშან ივლისში, ცხინვალში ყველაზე გაჭირვებულთათვის სადგურის მოედანთან პირველი საქველმოქმედო სასადილო გაიხსნა. იქ მე სულ სხვა ხალხი ვნახე: სათნო, კეთილი გამომეტყველებით, ერთმანეთის მიმართ მზრუნველნი და გულისხმიერნი. შუახანს გადაცილებული ქალები და კაცები, კენტად, წყვილ-წყვილად, ჯგუფებად შემოდიოდნენ დარბაზში.

მზარეულმა ზაირა კახნიაშვილმა იმ ოთხშაბათს ბრინჯიანი სუფი და ფეტვის ბურღულის ფაფა დაახვედრა სტუმრებს.

წინა დღის მენიუს გადავხედე: ვერმიშელიანი სუფი, წიწიბურის ფაფა და ქლიავის ჩირის კომპოტი.

– უხორცოდ ხომ ადვილი არ არის დაპურება, ამიტომაც მეტ ბრინჯსა და ვერმიშელს, მეტ კარტოფილს ვხარშავთ სუფში, – მიხსნის მზარეული და ჩამჩით ურევს ქვაბს, რომელიც, მართლაც, იმაზე ბევრად სქელია, ჩვეულებრივი დიასახლისი რომ აკეთებს ოჯახში. ფაფის ულუფა სოლიდური იყო და ჩაიც საკმაოდ ტკბილი.

სადილი 13-დან 14 საათამდეა დანიშნული, მაგრამ ზოგი უკვე 12 საათზეც მოდის.

– იციან, რომ თორმეტის ნახევრისთვის მზადა მაქვს სადილი და ვინც როდის მოახერხებს, ან ვისაც როდის მოშივდება, მაშინ მოდის, – ამბობს ზაირა.

ხაზბი საგკაევი 60 წელს გადაცილებულია, მაგრამ შრომის ხალისი არ დაუკარგავს. ის ყველაზე ადრე ცხადდება სასადილოში და მზარეულებს შეშას უჭრის, წყალს უზიდავს.

– ზოგი მოვა, ისადილებს და წავა, მე ასე არ შემიძლია, – ამბობს ხაზბი, – რაღაცა თუ არ გავაკეთე, ასე მგონია, არ შემერგება, რითაც შიმასპინძლდებიან.

ზამირა ჯიოევა სიამაყით მომითხრობს, რომ გორის საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობდა. საგულდაგულოდ შეისწავლა სხვადასხვა მანქანა და შემდეგ ფაბრიკაში მოსულ მოსწავლეებსა და ახალბედა შეგირდებს უხსნიდა, თუ როგორ შეესრულებინათ ესა თუ ის ოპერაცია.

– ხელფასიც კარგი მქონდა, პენსიაც 100 მანეთი დამინიშნეს. ცხინვალში დავბრუნდი, რადგან აქ მყავდა ყველა, მაგრამ აირია ცხოვრება და ახლა პენსია 28.000 რუბლი მაქვს. გამიჭირდა. ამიტომ ამ სასადილოში დავდივარ. გემრიელ სადილებს ამზადებენ. ჩემისთანა მარტოხელებისთვის დიდი შეღავათია, დღეში ერთხელ მაინც პირველ-მეორე-მესამეს რომ მოგართმევენ...

ოლგა ბურიკინაც მარტოხელაა, ეტყობა, ყველანაირად ცდილობს, თანამეინახეთა თვალში ღირსება შეინარჩუნოს. საგულდაგულოდ დაწმენდილ-დაუთოებული ტანსაცმლით მოსულა. ის უშვილობის გამო მიუტოვებია ქმარს და ეტყობა მიყენებული ჭრილობა დღემდე პირშეუკრავია, რაკი მის გახსენებაზე ცრემლს ვერ იკავებს.

– 20.000 რუბლი მაქვს პენსია, შუქის ფული გადავიხადო, თუ პური ვიყიდო, – ამბობს იგი.

რაზიათ გაზაევას კი, ეტყობა, გარეგნობაზე ზრუნვისთვის არც შეძლება აქვს, არც ძალა და არც ხალისი, შალში გახვეული უმკლავდება თებერვლის სუსხიან ქარს. სწრაფად შეექცა თავის ულუფას. ჩქარობდა, რადგან სახლში ინვალიდი ქალიშვილი, ვალენტინა დატოეა და კუთვნილი ულუფა მისთვისაც უნდა წაეღო.

და განა მარტო მას მიაქვს სახლში სადილი. აქ დღეში 35-დან 40 კაცამდე სადილობს, ერთ ამდენს კი ბინაზე უგზავნიან სადილს, ან პროდუქტების გარკვეულ რაოდენობას, რითაც მერე სახლში ამზადებენ საჭმელს.

სამზარეულოში 4 მზარეულია. ორი ერთ კვირას მუშაობს, ორიც მეორე კვირას. ძირითადად, ენთუზიაზმზე მუშაობენ: 8 თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღიათ.

– ვმუშობთ, აბა ამათ რა ვუყოთ, როგორ მივატოვოთ? ნეტავ პროდუქტები არ შემოგველიოს და ამათ საცოდაობას არ ვუყუროთ.

ჰუმანიტარული კომისიის თავმჯდომარე ლევ ნანიევი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს ეს სასადილო. დასახმარებლად ხელგაწვდილი, ხან რომელ ორგანიზაციას მიადგება, ხან რომელს.

ლევ ნანიევი მიამბობს თუ ვის რა წვლილი მიუძღვის ამ სასადილოს მუშაობაში, პასუხისმგებლობა ეროვნულ საქმეთა და მოსახლეობის იმიგრაციის კომიტეტთან არსებულმა ჰუმანიტარულმა კომისიამ იკისრა და 1997 წლის 1 ივლისს პირველი სტუმრები მიიღო, თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ იკისრა კვების პროდუქტებით 3 თვის მანძილზე მოემარაგებინა სასადილო, ფინანსთა სამინისტრომ გამოძებნა თანხები პურის შესაძენად, სოცუზრუნველყოფის სამმართველომ უზრუნველყო თავისი მუშაკების მიერ მწოლიარე მარტოხელებისთვის ბინებში სადილისა და კვების პროდუქტების მიწოდება.



სამი თვის შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ ველარ შეძლო კვების პროდუქტებით სასადილოს უზრუნველყოფა და მაშინ დაიწყო ნანიევმა კარდაკარ სიარული. ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრის გარეშე" ფქვილი, კარტოფილი, ზეთი მიაწოდა, „დახმარებისა და განვითარების საერთაშორისო ადვენტურმა სააგენტომ" 8 ტონა ხორბალი გამოუყო. მარცვალი გაყიდეს და აღებული თანხით სხვადასხვა კვების პროდუქტი შეიძინეს. ჯერჯერობით ასე გამოდიან.

– მერეც ვნახოთ, ღმერთი მოწყალეა, – ამბობს ლევ ნანიევი.

40 წლის კაცს დღემდე ცხოვრების მრავალფეროვანი გზა აქვს გამოვლილი. ქვაისის მაღაროთსამმართველოში ეს გზა მღესავობით დაიწყო. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განათლების სისტემაში მუშაობდა, იყო სკოლის დირექტორი, პარტიის ჯავის რაიკომის ინსტრუქტორი, ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი, ბოლო ხუთი წელი კი ეროვნულ საქმეთა და მოსახლეობის მიგრაციის სახელმწიფო კომიტეტშია.

საქველმოქმედო სასადილოდან გამოყოლილ ნათელ გრძნობასთან ერთად შიშიც ამეკვიატა, ვაი თუ ველარ შეძლოს ნანიევმა სპონსორების პოვნა? მერე რა უნდა ქნან, სად წავიდნენ ეს სათნო მოხუცები, ისეთი იმედით რომ მიდიან ყოველდღე სასადილოში, როგორც ბეღურების გუნდი იმ ფანჯრის რაფასთან, ვიღაცა ყოველდღე საკენკს რომ უყრის.

**ციალა კახნიაშვილი,**
„სრ" საკ. კორ.
ცხინვალი.

მადლი

# მერთი დღე ზღაპარში

დღევანდელი პენსიის ოდენობა კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ახლა ამაზე წუწუნს აღარ დავიწყებ. იმ საჩუქარზე მინდა მოგითხროთ, ახლახანს, სრულიად მოულოდნელად, რომ მივიღეთ მე და ჩემმა მეუღლემ.

ამას წინათ მე და მარგარიტამ აბანოში წასვლა გადავწყვიტეთ. ერთგან მივედით, ნომერი 4 ლარი დაგვიფასეს, გვეძვირა. მეორეგან – ხუთი ლარი გვითხრეს. ასე აღმოვჩნდით, საბოლოოდ, ჭრელ აბანოსთან, რომლის ნომრის ფასმა (10 ლარი) ძლიერ აღგვაშფოთა. ნუთუ პენსიონერებსა და თანაც პირველ-მეორე ჯგუფის ინვალიდებს უკვე არანაირი შეღავათი აღარ გვეკუთვნის? – დავიჩივლეთ გულნატკენებმა აბანოს თანამშრომლებთან და ის იყო სახლისკენ გავეშურეთ, უცბად ერთი ახალგაზრდა დაგვეწია და მობრუნდითო, – გვთხოვა. თურმე ნუ იტყვით, და, ჩვენ რომ დავიჩივლეთ, იმ თანამშრომლებს შორის თვითონ აბანოს დირექტორი – გიორგი ხიზანიშვილიც ყოფილა, და ... მისი წყალობით, სრულიად უფასოდ ვიბანავეთ ერთ-ერთ საუკეთესო ნომერში.

ისე, კაცმა რომ თქვას, ფულიანი კაცისთვის 10 ლარი იმ ზღაპრული სიამოვნების საფასურად, მართლაც, არ არის დიდი თანხა. იმდენად კომფორტულად და კარგადაა აქ ყველაფერი მოწყობილი, ამ სიამოვნებისთვის 10 ლარი ახლა კიდეც მეცოტავა.

მადლობა ბატონ გიას პენსიონერების მიმართ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, თურმე გულისხმიერი ადამიანები ჯერ კიდევ ყოფილან. თურმე ჯერ კიდევ ფული არ ყოფილა ყველაფერი.

**ცოლ-ქმარი**
**მარგარიტა ნაცვლიშვილი,**
**ალექსანდრე ქერაშვილი,**
ომისა და შრომის ვეტერანი.

გვეკითხებიან

# ჩვენი კონსულტაცია

**საპენსიო და სხვა შეკითხვებზე უპასუხებს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი, ქალბატონი ირინე ღლონტი.**



**მაქვს 30 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ვარ 56 წლის, საქართველოს განათლების კანონის 43-ე მუხლი უფლებას მაძლევს ხელფასთან ერთად მივიღო წელთა ნამსახურობის პენსია ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით. მივმართე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას, სადაც უარი მითხრეს, – არავითარი განმარტება ამ საკითხზე არ მიგვიღიაო.**

**გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით განგვიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა წელთა ნამსახურობის პენსია მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად.**

**კონსტანტინე აბდუშელიშვილი.**
თბილისი.

საქართველოს კანონი განათლების შესახებ, რომელიც 1997 წლის 27 ივნისს მიიღო პარლამენტმა, ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისათვის წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნა-გაცემის საკითხის დარეგულირებას საქართველოს საპენსიო კანონმდებლობით, რომელიც დღეისათვის მიღებული არ არის.

ამდენად, ზემოთაღნიშნულ კანონში გათვალისწინებული მუხლი პედაგოგთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, მოქმედებაში არ იქნება საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონის მიღებამდე.

აქვე ვიტყვით, რომ დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით პედაგოგებს, რომელთაც აქვთ 25 წლის პედაგოგიური სტაჟი, ასაკის მიუხედავად წელთა ნამსახურობის პენსია ენიშნებათ მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში და მისი ოდენობა იგივეა, რაც ყველა სხვა სახის პენსიონერის (13 ლარი).

* * *

**ვარ პენსიონერი, ვითვლები მომუშავედ, მაგრამ ხელფასს არ ვიღებ, ვინაიდან წარმოება არ მუშაობს. საპენსიო განყოფილებაში მეუბნებიან, მაინც მომუშავედ ითვლებით და პენსია არ გეკუთვნითო.**

**გთხოვთ, განგვიმარტოთ, რამდენად სწორია მათი პასუხი.**

**ნანა მიძიაშვილი,**
ბათუმი.

შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით (ვინაიდან, თქვენ უხელფასოდ მუშაობის პერიოდი გეთვლებათ სტაჟში), არამომუშავედ ვერ ჩაითვლებით და პენსია არ მოგეცემათ.

პენსიას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებთ, თუ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოს წარუდგენთ ბრძანების ამონაწერს სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.

* * *

**ვარ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი, მუშაობას განვაგრძობ. ამ ბოლო დროს ხშირად ავად ვხდები და სადავო ხდება ჩემი ბიულეტენის ანაზღაურების საკითხი.**

**გთხოვთ, თუ შეიძლება განმიმარტოთ, რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება ამინაზღაურდეს საავადმყოფო ფურცელი წლის განმავლობაში.**

**ვანო ომიაძე,**
ბათუმი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომუშავე ომის ინვალიდებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ავადმყოფობის შემთხვევაში ხელფასის კომპენსაცია ეძლევათ არა უმეტეს 4 თვისა ზედიზედ და საერთო ანგარიშით არა უმეტეს 5 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც მომუშავე შრომის ინვალიდებს (რომელთა ინვალიდობაც გამოწვეულია საერთო დაავადებით), ხელფასის კომპენსაცია ეძლევათ არა უმეტეს, 2 თვისა, ზედიზედ ავადმყოფობის და არა უმეტეს 3 თვისა, სხვადასხვა დროს ავადმყოფობის შემთხვევაში მთლიანად კალენდარული წლის განმავლობაში.

სატირალ-იუმორისტული თაოსნობა

# „პენსიონატებს" – მწვანე გზა!

ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო, სეპარატისტ რძლებს გეფიცებით, თუ ანდაზად ქცეული ეს თეორია ოპტიმისტ „ბებერ ხარს" არ ეკუთვნოდეს, მე კი პრაქტიკამ მიჩვენა, რომ სიბერეში ამაგდარი ადამიანის აღარც რქები სჭირდებათ და აღარც მოხნული.

მართალია, ჩემი წინდახედულების წყალობით, კუკიაზე ორადგილიანი, იზოლირებული საფლავი განაღდებული მაქვს, მაგრამ იქ მიცუნცულებამდე რომ ერთი ეტაპია გასავლელი, ამაზე ახლახან დავფიქრდი.

ვიფიქრე, ვიფიქრე და კახელისა არ იყოს: იდეებ რა ვუყო?!..

რა იქნება ბიზნესმენებმა, ტაძრებისა და ეკლესიების აგებას რომ მოათავებენ, „პენსიონატების" მშენებლობას მიჰყონ ხელი?

თუ ტაძრის თაღქვეშ ლოცვა მათ სულიერ განწმენდას შეუწყობს ხელს, „პენსიონატები" ჩვენგან — ანუ 8 ლარიანი სიდედრ-სიმამრისა და ბებია-ბაბუისაგან „გაწმენდს" მომავალ ქართულ ოჯახებს.

ცხოვრება კიბეა! იფიქრეთ ბიზნესმენებო, ვინძლო, სიკეთე სიკეთედ დაგიბრუნდეთ, თქვენივე აგებული „პენსიონატები" თქვენც გამოგადგეთ!

**ლეილა კოშკაძე**

საქართველოს რესპუბლიკა
№70. კვირა, 22 მარტი, 1998 წელი.

კოლეგაზე

# „შენ — სილამაზის ნაზო გრიგალო...“

## ნანა ლვინეფაძის ნარკვევებისა და პუბლიკაციების კრებულის — „შარავანდედის“ შესახებ

ეს, სათაურში გამოტანილი სტრიქონი, გიორგი ლეონიძისაა. ჩვენმა სათაყვანებელმა გოგლამ, მისთვის ჩვეული ოსტატობითა და ტემპერამენტით, ორი, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი, ცნება დააწყვილა და შეაუღლა — „ნაზი“ და „გრიგალი“. ამ სტრიქონის შთამაგონებელი და ადრესატია ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვასი — სილამაზის, კდემამოსილების, ქართული პატრიოტიზმის (გალაკტიონი) და წმინდა ქალური გამჭრიახობის სიმბოლო, — მან ხომ, ლამის გოგონამ, ბავშვმა, რუს კრიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებზე გაცილებით უფრო ადრე, მამინდელ რუსულ ოფიციოზზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ტევადი სტრიქონით შეაფასა თავისი მეუღლე დიდი რუსი პოეტი, დრამატურგი, დიპლომატი და მოაზროვნე.

და მაინც, ეს „ნაზი გრიგალი“ კიდევ უფრო მძაფრად გავითავისე, როცა ცნობილი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის — ქალბატონ ნანა ლვინეფაძის ბედნიერი მეკვლეობით ჩემს შემეცნებასა და ემოციურ სამყაროში მართლაც ნაზი გრიგალივით შემოიჭრა მარიამ, მარო მაყაშვილი.

თავისი შესანიშნავი ნარკვევების რკალში — „შარავანდედი“ ნანა ლვინეფაძემ გაგვიცოცხლა და დაგვიმოყვრა ეს სრულიად ფანტასტური ქალიშვილი, გოგონა, რომელმაც მიწიერი ცხოვრების ოცი წლის მიჯნა ვერ დახძლია, მაგრამ უკვდავების ზღურბლს კი გადააბიჯა და სამუდამოდ დარჩა ჩვენთან, როგორც სილამაზის, ნიჭიერების, განსაცვიფრებელი ზნეობრიობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის ეტალონი და ნიშანსვეტი.

ქართველი დემოკრატი მწერლისა და განმანათლებლის — ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილმა, გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლისა და თავმჯდომარის (1921-1927 წლებში) — კოტე მაყაშვილის ქალიშვილმა — 1901 წლის მარიამობისთვის 25-ში დაბადებულმა მარომ, როგორც ნანა ლვინეფაძე წერს, „თავისი ბედი საქართველოს ბედს დაუკავშირა, თავისუფალი საქართველოს ბედს და შეეწირა კიდეც 1921-ის 19 თებერვალს, 19 წლის ასული, სამშობლოს“.

თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე და თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, საზოგადოება „შევარდენის“ სპორტსმენი — აი, მთელი მისი ბიოგრაფია იმ დღემდე, როცა მარო, მოხალისე მოწყალების და, ოცდაერთის თებერვალში კოჯორთან პირისპირ შეეგება სიკვდილს. დღიურების ორი რვეული და რამდენიმე პატარა მოთხრობა დაუტოვა მომავალ თაობებს, მაგრამ, ნიკო ბარათაშვილისა არ იყოს, უკვდავებისთვის ესეც საკმარისი გამოდგა. ასევე, ტატოსი არ იყოს, მაროც ჩქარობს (თუმცა ნაადრევი წასვლის სევდა მის ნაწერებში გამოხატულად არ ხმოვანებს) თავისი ნაფიქრ-ნააზრევი და განცდილი უწილადოს „მოძმესა ჩემსა“.

ნანა ლვინეფაძის „შარავანდედის“ უპირველესი და უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ნარკვევთა ამ კონაში გამოკვეთილია მარო მაყაშვილის უმდიდრესი სულიერი სამყარო, მისი ყოვლისმძლე ოპტიმიზმი, არსებობისა და ბრძოლის სიხარული, ფაქიზი შემოქმედისა და იმავდროულად შემართული ამორძალის მფეთქავი ბუნება (ნაზი გრიგალი!). კრებული აღიქმება, როგორც მისი გმირისა და მადლიერი თანამედროვის დიალოგი, როგორც თაობათა გაბაასება მარადიულ ფასეულობათა გარშემო.

განსაცვიფრებელია, და ეს სრულყოფილად არის წარმოჩენილი „შარავანდედში“, რომ სათუთი ლირიზმი მარო მაყაშვილის ჩანაწერებსა და მოთხრობებში მეზობლობს, და თანაც სავსებით ორგანულად, ისტორიისა და თანამედროვეობის ისეთ ღრმა, გამჭრიახ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გააზრებასთან, ანალიზთან, რომ უნებლიედ მისტიური შეკრთობა გეუფლება, ნუთუ უზენაესმა თუ განგებამ სწორედ ეს ბანოვანი აირჩია ჭეშმარიტების ქადაგებისთვის? იქნებ ვაჭარბებ და წმინდა ემოციურია ეს ჩემეული ალქმა? სრულებითაც არა, და ამის მტკიცებას დიდი მეცადინეობა არ სჭირდება.

„მინდა, — წერს ნანა ლვინეფაძე, — კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მარო მაყაშვილისეულ სიტყვაკაზმულობას: თუ ძმა — შალვა მაყაშვილი ფერმწერია, — მისი და სიტყვით ასურათხატებს ქართულ ბუნებას... აი, როგორ განიცადა და აღიქვა პირველ ხილვაზე მარო მაყაშვილმა კახეთი:

„ვნახე კახეთი. დიდებულია კახეთი თავისი სიმშვენიერით. უბრალოდ არ დაამღერა და ააქღერა თავისი ჩანგი ვახტანგ ორბელიანმა, მართლა რომ მომხიბლავნი არიან მისი წალკოტები, სადაც იდუმალება სუფევს. ალაზნის ველი გადაშლილი ხელისგულივით, იპყრობს ყველას ყურადღებას. ზურმუხტოვანი, აბიბინებული ყანები შორიდან ზღვას წააგავს. გარშემო შემობოჭილია კავკასიონის ქედი, მუბლშეჭმუხვნილი მყინვარი გადმოპყურებს თავის ფეხთან მდებარე არეს და თითქოს ამბობს, მეც თქვენზე ნაკლები არა ვარო, შეხედეთ ჩემს შევერცხლილ თავს. რა არის, ეზიის მეტრს- დერჟავინს? — დ.ს). ყველანი გამომეკიდნენ. „კნიაჟნა!“, სულ ერთია, არ დაგანებებთ თავსო, მანამ არ ითამაშებთ. რა მექნა, მეც დავთანხმდი...“

ო, რამდენს მივცემდი, რომ საკუთარი თვალით დამენახა ეს სურათი — „პაულოს“ გულის გასახარად როგორ იხარჯება „ჩაჩნურში“ ამორძალი მაყაშვილი (ნაზი გრიგალი!), როგორ გარბის დამფრთხალი შველივით, შემდეგ კი ისევ და ისევ როკავს ველური რიტმით ამ ვაჟური ცეკვის სული და გული რომაა. ეჰ, სად იყო მაშინ ტელეხედვა! და დაიკარგა მაყაშვილის ქალის ეს ჩაჩნური, როგორც ლადოს კინტაური, რომელიც გენიალურად აგვიწერა მხატვარმა ხერხეულიძემ.

ახლა მარტის დღეებია. ზუსტად 79 წლის წინათ, 1919 წლის 23 მარტს თვრამეტი წლის მარომ გაანდო დღიურს ასეთი სტრიქონები:

„დადგა გაზაფხული, მშვენიერო, რომ მოვხუცდი, მაგრამ სიბერეშიც სილამაზეს არ ვკარგავ, უჩემოდ თქვენი მშვენება დაიკარგებოდა. მართალიც არის, მთები თითქოს ფერხულში ჩაებნენო, ისე გარს შემოერტყნენ და მცველებივით გამზადებული არიან (ამ პასტორალური, მშვიდი ფრაზების შემდეგ, ავტორის ინტონაცია მძაფრდება, თხრობა ენერგიული ტემპით გრძელდება, საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს. — დ.ს.). ბევრმა რამ გადაიარა მათ თავზე და გადაივლის კიდეც! გაუნძრევლად, ხმაგაკმენდილნი დგანან: ან რამ უნდა გაამხიარულოს: სადღაა ძველებური ჰარი-ჰარალო; როცა მეფე ერეკლეს ჯარი ამ მთებს გადაივლიდა, მაშინ მთებიც ბანს აძლევდნენ. თავის სიხარულს მარტო მაშინ გამოხატავდნენ. ერეკლე — პატარა კახი სდუმს. მთაც ხმას არ იღებს. მასთან ერთად შეწყდა საქართველოს კეთილდღეობა. ორთავა არწივი ალარ ასვენებს. ბოლოს გამთილევიძა ბუნებამაც, — ქედმაც გაიღიმა. მიზეზი ამ ყველაფრის — „საქართველო აღსდგა!“ ეჰ, რამდენი ფიქრი ტრიალებს თავში, არ იცის ადამიანმა, რომელს მოანდომოს დრო...“

ისევ დღიურებიდან:

„მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასდროს დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩაჩნური. პაულო და კოპალი (მარო პაოლო იაშვილს ყველგან „პაულოდ“ იხსენიებს, რამდენი სითბო და რბილი იუმორია ამ „უ“ში! კოპალი — მწერალი დავით კოპალეიშვილია — დ.ს.) არ მშორდებოდნენ. იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემს მიერ დაპატიჟებულნი კარგად ატარებდნენ დროს... ვახშმის დროს დირექტორმა მოგვილოცა ჩვენ და გვისურვა ბედნიერება. თქვა: მე მინდა, რომ თქვენ, ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის, არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინელი არაფერი არ არისო, მერე პაულომ და კოპალმა დალიეს, ალავერდი ჩემთან იყო. დაუკრეს ჩაჩნური. ვიცოდი, რომ მე მათამაშებდნენ, გავიქეცი და დავიმალე სხვა ოთახში (არ გაგონდებათ. — პუშკინი ლიცეუმში ლექსის წაკითხვის შემდეგ რომ დაემალა პომომხიბლავი, მაგრამ მარტი თავისას არ იშლის, — კარგ დღეს ავდარსაც მიაყოლებს. მაინც ჰაერი გამოიცვალა, სულ სხვა ჰავა ტრიალებს. ოჰ, მზეო, მზეო, შენზე კარგი რა არის, მეტადრე გაზაფხულისა...

როგორც ბუნებამ გაიღვიძა, ისე ქართველი ერიც იფშვნეტს თვალებს, უნდა მოელოდეთ, რომ სულ მალე გამოფხიზლდება“.

საინტერესოა, რომ, როგორც ეს ნაკვეთი მეტყველებს, მარო მაყაშვილი შორსაა დამოუკიდებლობით გამოწვეული ეიფორიისაგან. თავისუფლების პირველი შეგრძნება და ნაბიჯები ჯერჯერობით მხოლოდ თვალების ფშვნეტაა, ხოლო საბოლოო გამოფხიზლება ჯერ კიდევ წინაა.

რთული და წინააღმდეგობრივია მოსწავლე მარო მაყაშვილის დამოკიდებულება მეფე ერეკლეს პიროვნებისადმი. ამ შემთხვევაშიც ბარათაშვილისეულ დილემასთან გვაქვს საქმე და მის (ერეკლეს) ნაღვაწ-ნაანდერძევის დიალექტიკურ გააზრებასთან.

„შარავანდედში“ გამოქვეყნებულია მარო მაყაშვილის მოთხრობა „გაზაფხული“, რომელიც დაიწერა 1918 წლის 20 მაისს, ესე იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 6 დღით ადრე (მარო ამ დროს ჩვიდმეტი წლისაა) ეს მოთხრობაც, როგორც მაროს დღიურების უმეტესობა, ბუნების მოფერებით იწყება და პოლიტიკით გვირგვინდება.

„ჭიაღუამ აიდგა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები იკრიბებიან შორეულ ქვეყნებიდან და ერთმანეთში ჭორიკანაობენ. საღამო მშვენიერი არის. მთვარე, მფლობელი ღამის სივრცისა, დაბრძანდება თავის ციმციმა ამალით („ციმციმა ამალა“ — ასე ვარსკვლავები არავის დაუხატია ჩვენს ლიტერატურაში! — დ.ს.). სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი ჰანგი...“

და ისევ, როგორც კახეთის დასურათხატებისას, ამ იდილიურ პეიზაჟში გრიგალივით შემოიჭრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუხტით გაჯერებული პუბლიცისტიკა:

„სად არის სამართალი? ერეკლე, ერეკლევ, რაზედ დაგვღუპე? მართალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი?!.. რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო?!“

დღიურიდან:

„ვასამართლებდით (ადრე მიღებული ისტორიულ-ლიტერატურული გასამართლება. ახლა ვინღა იცლის ამისათვის? — დ.ს.) ერეკლე მეორეს იმაზე, თუ რად შეაერთა საქართველო რუსეთს. მბრალდებლებიც იყვნენ. დიდი კამათის შემდეგ გავამართლეთ“.

ამ დილემის ტრაგიკულად აღქმა, მისდამი არაერთწახნაგოვანი, დიალექტიკური მიდგომა — ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ტრადიციაა. მას არაფერი აქვს საერთო იმ მხოლოდ ემოციით ნაკარნახევ პოზიციასთან, რომელსაც მე ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთების“ ერთ-ერთი პერსონაჟის ისტერიულ შეძახილს („გაიტანეთ!!!“) ვამსგავსებ.

ნანა ლვინეფაძე გადმოგვცემს ეპიზოდს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი აპატიმრებს ცნობილ მოღვაწეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, მარო მაყაშვილის დედის ძმას (ეკატერინე გაბაშვილის შვილს) — რევაზ გაბაშვილს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მისი (ნ. რამიშვილის) თქმით „სისტემატურად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ...“ კრებულის ავტორი ამ ფაქტს სანათადო კომენტარს ურთავს, რაც გამოხატავს რევაზ გაბაშვილის გულწრფელ გაოცებას:

„ბატონი ნ. რამიშვილი ერთი წლით იყო ჩემზედ უფროსი და რაც თავი მახსოვს, მუდმივი ბრძოლა მქონდა მასთან საქართველოს სახელის არცნობისათვის და ის მიჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. „ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისაო“ ვერ ვიტყვი დავით გურამიშვილივით, რადგან მართალია, მეც მკათათვეში დამიჭირეს, მაგრამ „დამდეგი“ აღარ იყო და დამჭერებიც ლეკები კი არ იყვნენ, არამედ „ესდეკები“, მაგრამ, განსხვავება 1819 წლების ლეკებისაგან მაინცდამაინც არ იყო და თუ იყო, არა 1919 წლიანების სასარგებლოდ“.

„შარავანდედში“ დაწვრილებითაა აღწერილი თვრამეტი წლის მაროს რეაქცია ბიძის დაპატიმრებაზე. ეს რეაქცია თავიდან თითქოს ემოციურია, თუმცა გარკვეული პოლიტიკური შეფერილობით, მაგრამ შემდგომში ეს ფაქტი განზოგადებულია, და აქ არაფერია გადაჭარბებული, წმინდა ილიასეული პოზიციით, რომელიც მწვავედ განიცდიდა კლასობრივ, პარტიულ პარტიკულარიზმს საქართველოში, რაც შინაომისკენ უბიძგებდა მცირერიცხოვან ერსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ასუსტებდა. არა გჯერათ? მაშინ ისევ მოუსმინოთ ამ ბრძენ ამორძალს:

კადრი



შარშანდელი ფოთოლი.
ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

„ის არის საწყენი, რომ თავისევე ერი, თავისივე მოძმე გავიწროებს. სხვა ყოფილიყო, ისე გასაკვირეელი არ არის. აქ კი ქართველი — ქართველსავე ავიწროებს. მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში — ამირანმა ასწყვიტა თავისი ჯაჭვი და საქართველო გაათავისუფლა-მეთქი, — ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუწყვეტელი ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას დიდი, ძალიან დიდი ღონე უნდა. აგრეთ ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება. ჯერ რამდენიმე ხელში უნდა გაიაროს, გამოსწოვოს უკანასკნელი წვეთები და როცა დაუძლურდება, მერე მიაგდოს, როგორც გამოუსადეგარი რამ. ესეც ჩვენი ცხოვრება, მტრობა გაუთავებელი“.

იქნებ ადგეს მავანი და თქვას, რომ ეს სიტყვები დღეს არ ჟღერს აქტუალურად?

მრავალგზის დამიწერია და მითქვამს — ილია მტკივნეულად განიცდიდა პარტიულ პარტიკულარიზმს, ეს მაშინ, როცა საქართველოში პარტიების რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო. 1919 წლის 4 იანვარს მარო დღიურში ჩაიწერს:

„მთელი ერი 15 პარტიად გაიყო. აბა აქ რა იქნება, რა გამოვა“.

იქნებ ადგეს ვინმე და თქვას, რომ ეს სიტყვები არ ჟღერს აქტუალურად იმ საქართველოში, სადაც დღეს ორასამდე თუ ორასზე მეტი პარტია და მიმდინარეობაა? ნუთუ ქართველებმა სულაც დავკარგეთ ზომიერების გრძნობა ან თუნდაც იუმორი? საქართველოს სჭირდება არა არსებული და არარსებული პარტიების ლიდერთა „ძიძგი-ძიძგი“„მამალო“, არამედ თავაუღებელი შრომა, რეალური ხელისუფლების მხარდაჭერა, იმ ხელისუფლებისა, რომელმაც ბევრი უბედურებისაგან გვიხსნა, გამოგვიყვანა სამოქალაქო ომიდან, გვაზიარა ცივილიზებულ სამყაროს. გარჯისა და ოფლის გარეშე ვერავითარი მილები და დერეფნები ვერ გვიხსნის.

შეგნებულად არ მოვიყვან მაყაშვილის ქალის სიტყვებს უცხოელთა მოძალებაზე დამოუკიდებელ საქართველოში. ძალზე მწარე, გესლიანი და დაუნდობელია ეს სიტყვები, მხოლოდ ერთ ირონიულ პასაჟს დავჯერდები:

**„თბილისი ინტერნაციონალურ ქალაქად შეიქნა (მაროს მხედველობაში აქვს არა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, არამედ უცხო ქვეყნების საჯარისო ნაწილები — დ.ს.).**

**ბოლოს და ბოლოს, ვის ჩავუვარდებით ხელში, არ ვიცი. ჯერ კიდევ, მგონი, ბევრნი გვესტუმრებიან“.**

ამას წინათ წავიკითხე ბატონ ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, სადაც ის გამოთქვამს შეშფოთებას იმავე პრობლემის გარშემო, რაც მარო მაყაშვილს სულს უფორიაქებდა.

„შარავანდედში“ კარგად არის ნაჩვენები, რომ მარო მაყაშვილი არამარტო თანამოდარდე იყო საქართველოსი და მისი ერისა. ამ ქართველი გოგონას სიტყვა და საქმე ერთი იყო. ის შეეწირა თავის სამშობლოს, თავის ხალხს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავის მრწამსს.

ბევრი გეგმები დარჩა განუხორციელებელი. სურდა სრულყოფილად დაუფლებოდა ძირითად ევროპულ ენებს, ესწავლა საზღვარგარეთ, შეესწავლა ეკონომიკა, რათა მიეღო აქტიური მონაწილეობა საქართველოს აღმშენებლობაში, სურდა მწერლობა, რაც ხელეწიფებოდა. ამას მოწმობს ის ჯადოსნური ესკიზები, რომელთა მიხედვით შეიძლება იმსჯელო დიდ, მასშტაბურ ტილოზე. ზოგჯერ ბარათაშვილივით ინატრებდა ხოლმე:

**„ნუთუ არასოდეს არ მეღირსება, რომ სადმე სოფელში სახლი და მიწა მქონდეს. ეს არის ყველაზე დიდი ჩემი ნატვრა“.**

გაგიკვირდებით, განსაკუთრებული სინაზითა და სიფაქიზით უყვარდა მშობლები, და-ძმა. ამ დიდებული ოჯახიდან დარჩა მხოლოდ ერთი და, რომელიც მაროს დაღუპვის შემდეგ დაიბადა და მისი სახელი დაარქვეს, თუმცა მშობლები, ახლობლები და შემდეგ სუყველა ნუგეშას ეძახდნენ. ქალბატონი ნუგეშა ცნობილი ქართველი ფილოლოგია, ამჟამად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

**„მე არ გიცნობდი, ამორძალო,**
**სწორო თამარის,**
**მაქვს სანანებლად თქვენი**
**სახის უნახველობა,**
**მაგრამ ამბობენ: რაფაელის**
**უნდა ხელობა**
**თქვენს ნამდვილ პორტრეტს,**
**დღეს რომ ფარავს ვარდი**
**სამარის“.**

ასე მიმართავს მაყაშვილის ქალს რაჟდენ გვეტაძე.

ვარლამ რუხაძეც უდასტურებს:

**„წმინდა ასულო, დღემდე**
**ჩვენ გვყავდა**
**ნინო, ქეთევან,**
**და მზე თამარი,**
**დღეიდან, როცა აიწევს ფარდა,**
**შენც გამოჩნდები**
**სახე-ნარნარი“.**

ლოცვასავით ჩამესმის ჩემი მეგობრის თამაზ ჩხენკელის სტრიქონები:

**„ო, მარიამ, მარო, მარიულა,**
**მენ-შამბახო, მცხრალი მზით**
**გამლილო,**
**ეს ქვეყანა, ხედავ,**
**როგორ არეულა,**
**ჩემო დიდო დედავ, დაო,**
**შვილთაშვილო“.**

მაროს დისშვილი, თამარ ერისთავი:

**„მწამდა, რომ ისევ**
**აივსებოდი**
**ცის ლაჟვარდებით და მზის**
**ხვითოთი,**
**რომ უსათოოდ ამოაღწევდი,**
**რომ უსათოოდ ამოხვიდოდი“.**

მამა კი, მაროს დიდი, ჭირთამთმენი მამა — კოტე მაყაშვილი შეჰპირდა თავის გმირ გოგონას:

**„და თუ ბედმა წამაქცია მეხით,**
**ცეცხლის მკვესავით,**
**წავიქცევი უდრეკელი,**
**რაინდულად, შენსავით“.**

... უკვე მერამდენე დღეა თვალს ვხუჭავ და ფერადი კინოფირივით ჩემს წინ ცოცხლდება „შარავანდედის“ ერთი და იგივე პასაჟი:

**„მერე პაოლო ერთ დუქანში შევა, ყველაზე დიდ და ლამაზ ვაშლს აარჩევს და ხმამაღლა გასძახებს: „მარო, მაყაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო“ და გადაუგდებს...**

**„მე ძლივს დავიჭირე...**

დევი სტურუა.

P. S. მივესალმები თბილისის უნივერსიტეტის ინიციატივას — ყოველ სტუდენტ ქალს, რომელიც პირველად შეაბიჯებს ჩვენს ამ წმიდათა წმიდა ტაძარში, გადაეცეს, როგორც სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების, როგორც მაღალი ზნეობისა და მრწამსის სახელმძღვანელო ნანა ღვინეფაძის წიგნი — „შარავანდედი“ და მარო მაყაშვილის დღიურები.

ამასთან, ვშუამდგომლობ, რომ ჩემს კოლეგას ქალბატონ ნანა ღვინეფაძეს წიგნ „შარავანდედისათვის“ მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დ. ს.

გულიანი

# „ვხმაურობ, მინდა ვიყო საჭირო...“

## პოეტის პორტრეტისათვის



„ვხმაურობ, მინდა ვიყო საჭირო... ვბობოქრობ თითქოს ყაჩაღ-თული ვარ, იქნებ ცხოვრების, ჩემო საჩინო, — მე ჩატეხილი საფეხური ვარ?“

ეს სტრიქონები ცნობილი პოეტის შოთა ხოდაშნელის წიგნიდან ამოვწერე, რომლის სათაურია „დაღლილი ქარი“.

წიგნის ანოტაციაში ასეა ნათქვამი: „შოთა ხოდაშნელი რამდენიმე წიგნის ავტორია, აქ წარმოდგენილი ლექსებიც ამ წიგნებიდანაა ამოკრეფილი. კრებულში ნათლად ისახება პოეტის სათქმელი, რომელიც მას თავისი არსებობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე განუცდია და გულით უტარებია“.

„ვხმაურობო“, წერს ზევით პოეტი და მე წარმოვიდგენ შოთა ხოდაშნელს მუდამ ტკივილიან, უსაზღვრო ტკივილიან კაცს, მაგრამ მუდამ მომღიმარს, გადაშლილ სახეზე ნაცნობისადმი, მეგობრისადმი, მოყვასისადმი რომ კეთილი ღიმილი დასთამაშებს და მინდა ვუთხრა შოთა ხოდაშნელს: ბარაქალა, ძმაო, შენ რომ სხვის განცდებს და სხვის მოწყენას გულს უწევდი, შენს ტკივილს მალავ და უფრთხილდები, რომ არ ხმაურობ და ჩუმად ხარ, მაგისთვისაც გმადლობ, გმადლობ, ღმერთმა სიკეთე მოგცეს!

შოთა ხოდაშნელს მთელი საქართველო იცნობს, მთელი საქართველო-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ მას ყველგან ჰყავს მოკეთე, გულის მეგობარი, სიტყვის მეგობარი, ლექსის მცველი და სადღეგრძელოს მთქმელი, ის ყველგან არის, სადაც ლექსი ბორგავს, სადაც მწერლის იუბილეა და სადაც მწერალთა შეკრებაა.

ახლა მე მისი ლექსების სტრიქონებს მივყვები და ჩუმად ვესაუბრები ავტორს: „შენ საქართველოვ, ციხევ, სიმაგრევ, სულ სხვა სიმტკიცე მოგდევს, რა არ გინახავს, რა ჯოჯოხეთი, რასაც აქამდე ვუღებთ, ძნაში თავთავი გამოგაცალეს და ქვა უკულმა გკოდეს“!

შოთა ხოდაშნელის ლექსად სათქმელი მისი საყვარელი საქართველოა, მისი დავით აღმაშენებელია, შეწირული დედოფალი ქეთევანია, ვახტანგ მეფეა, იყალთო და რუსთაველია, დიდი რუსთაველი, რომლის პოეზია შოთა ხოდაშნელმა თავისი სიცოცხლის წყაროდ აქცია.

**„თრთის და ციმციმებს ჩუმი**
**მზის სხივი.**
**აკადემიის ხავსიან ლოდზე,**
**და ჰგავს ის სხივი რუსთველის**
**ღიმილს**
**რომლის ნათელი მოგვდევს და**
**მოგვდევს“.**

(„რუსთველის ძეგლი იყალთოში“).

შოთა ხოდაშნელის პოეზია საოცრად მარტივი უბრალოებით გამოირჩევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტი ვერ სწვდება აზროვნების ღრმა ლაბირინთებს, მასში ფოლკლორის სიბრძნე და სისადავე ისეა შესისხლხორცებული, რომ ზოგჯერ შოთა ხოდაშნელის ლექსი კახეთიდან წამოსული ზეპირსიტყვიერების მადლი ჰგონია მკითხველს. პოეტის წიგნი განსაკუთრებული ლირიზმით გამოირჩევა, მასში აღსანიშნავია ისეთი სტრიქონები, რომელთა გამჭირვალება და ჰარმონიულობა ლექსს მეტ მომხიბვლელობას ჰმატებს. აღსანიშნავია პოეტის სხვა პეროიკული ლექსებიც, მამულისათვის თავდადებულთა ნათელ მაგალითებს რომ უძღვნა, მაგალითად: „ვახტანგ გორგასალს“, „დავით აღმაშენებელს“, „ძლევაი საკვირველი“, „ქეთევან დედოფალი“, „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“, „ცოტნე“, „ლეგენდა სოფელ სამღერეთზე“, „დავით გურამიშვილი“ და სხვა.

განსაკუთრებული მადლი სცხია ლექსების ციკლს „ბარათაშვილი“, ამ ციკლით პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისეული სურათები გააცოცხლა.

**„ჰა, საოცნებო რამ უბელო,**
**ცხოვრება შენი — მოკლე ზღაპარი,**
**გადაიარე როგორც ღრუბელმა,**
**ლექსებში ჰპოვე თავშესაფარი“.**

ასეთივე მისია აკისრია რკალს „ვაჟა-ფშაველა“. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

კახეთი, მისი გაზაფხული და შემოდგომა პოეტისათვის ლექსის სტრიქონის დასაბამს წარმოადგენს და თუ პოეტი იხიბლება მშვენიერებით, ალაზნის განუმეორებელი სილამაზით, ვაზის ჰარმონიით, სწორედ მაშინ იბადება ლექსი და თანაც საოცრად ემსგავსება შთამაგონებელს: „ლხინის თავო და ხმების მარანო, მე დალოცვილო, მე მადლიანო“, — ამბობს პოეტი ლექსში „კახეთი“. მას არა მარტო კახეთი ხიბლავს, არამედ საქართველოს თვალსატკბობი ყველა კუთხე. ალბათ, ახსოვს მრავალს მისი ლექსი-სიმღერა იმერეთზე:

**„დედა რავა გაზრდილათი,**
**რავა დამშვენებულათი. („იმერეთში“)**

მას ხომ მთელი საქართველო მღერის დიდი ხანია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის სილამაზით აღფრთოვანებული პოეტი ქმნის ლექსებს „კოხტასთავის ციხესთან“, „ქსნის ხეობაზე მივდივარ“, „ზღვასთან“, „კობა გურულის სახელოსნოში“, „გულო, რას მემართლები“...

შოთა ხოდაშნელის ლირიკული ლექსები ასევე ლამაზი ლირიზმით გამოირჩევიან, მაგალითად: „წვიმაში“, „შენ მოხვედი და“ – „ეთერ ხუციშვილს“, „ზეცის დედოფალი“, „ფიროსმანი“.

**„ზეცის დედოფალი**
**ლაჟვარდში გაცურდა.**
**ააგო სხივების**
**ნათელი კარავი...**
**და ღმერთიც რომ იდგეს —**
**ჩემს გვერდით ამ წუთას, —**
**ვკითხავდი, — უფალო, არ გიყვარს**
**არავინ?“**

დამეთანხმებით, მუსიკალური და გრძნობით დატვირთული ლექსია.

ახლა მინდა იმ პატარა გულის წიგნზე გესაუბროთ, რომელმაც, მართლაც, გულთან ახლოს დაიდო ბინა და მიიზიდა მკითხველი. ეს გახლავთ შოთა ხოდაშნელის „ჩარგალში თქმული“, რომელიც შარშან გამოიცა და მიეძღვნა ვაჟა ფშაველას. ამ პატარა კრებულში ხუთი ლექსია წარმოდგენილი. „ჩარგალში“, „ივერიის რედაქციაში“, „ვაჟა და ფუტკარი“, „ვარამი“ და „ნუგეში“. ხუთივე ლექსში ვაჟა-ფშაველაა გაცოცხლებული სხვადასხვა ამპლუაში. ჩანს ვაჟა-ფშაველას ბუნება, ხასიათი, ცხოვრების წესი. საყურადღებოა ვაჟას შეფასება თვით ვაჟას ახლობლებისაგან, მეუღლისაგან, შვილებისაგან. ეხლებით ციტატებს პოეტ ეთერ თათარაიძის ნარკვევიდან, ვაჟას ქალიშვილზე, გულქან რაზიკაშვილზე, რომ დაწერა: „მამამა ღმერთის ჩამაჭყარა სახელი“.

შოთა ხოდაშნელი დიდი რუდუნებით და ენთუზიაზმით ემსახურება „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია-შესწავლის საშვილიშვილო საქმეს. მან არა ერთი სამწერლო და შრომატევადი ღონისძიება განახორციელა, რათა მომავალ თაობას თავის საკუთრებად ექცია რუსთაველის უკვდავი პოემა.

მადლი, მირონი ნუ მოშლოდეს შოთა ხოდაშნელის პოეზიას.

ზუმრუდ გოდერძიშვილი.

არდადეგები



„წარვედ წყლისა პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად.“

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

სპორტი
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ცხოვრების ჯანსაღი წესი



# მასპინძლობს დიღმის ტყე-პარკი

„ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელთა აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. შეიქმნა ჯანსაღი წესის დამკვიდრების მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც რაიონის გამგებელი ო. კიზიკაძე ჩაუდგა სათავეში. დაიგეგმა ღონისძიებათა ციკლი. მათ შორის აღსანიშნავია 18 მარტს დიღმის ტყე-პარკში გამართული რაიონის 1998 წლის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში. საასპარეზოდ გამოვიდნენ 11 საშუალო სკოლის, 5 კოლეჯისა და უმაღლესი სასწავლებლის გუნდები. სკოლებს შორის I ადგილი მოიპოვა 147-ე სკოლამ, II ადგილი დაიკავა 155-ე სკოლამ, III – მე-19 სკოლამ. პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები:** 1. თ. გიგაური (130-ე სკოლა), 2. ა. იორამშვილი (169-ე სკოლა), 3. ე. ბალხამიშვილი (130-ე სკოლა). **ვაჟები:** 1. ვ. ელბაქიძე (147-ე სკოლა), 2. მ. ფსუტური (155-ე სკოლა). 3. ბ. კასრაძე (147-ე სკოლა).

უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების წარმომადგენელთა პაექრობაში პირველობა არავის დაუთმო სამხედრო აკადემიის ძლიერმა გუნდმა (კათედრის გამგე, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე გედევანიშვილი). მე-2 ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური კოლეჯი, მესამეზე – მანქანათმშენებლობის კოლეჯი. პირად პირველობაში ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ: **გოგონები:** 1. ვ. ვანიუშინა, 2. ა. ჩერნიცოვა (ორივე – პოლიტექნიკური კოლეჯი), 3. ნ. დანელია (რკინიგზის კოლეჯი). **ვაჟები:** 1. მ. ბელოვი, 2. თ. ფსუტური, 3. ვ. ჯოლოხავა (სამივე – სამხედრო აკადემია).

შეჯიბრება გაიმართა დიდუბის რაიონის სპორტკომიტეტის, განათლების განყოფილების და ახალგაზრდული დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობითა და ხელშეწყობით.

**ნუხა გაგოშიძე.**





**სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.**
ავტორის ფოტო.

ბილიარდი

# იატაკქვეშეთიდან — სამზეოზე

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ მუშტაიდის ბაღში ბილიარდის ქართველი დიდოსტატის გივი კობოსნიძის პრიზი გათამაშდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპატიო ჯილდოს „საქგაზმეცნიერების" გენერალური დირექტორი თამაზ შილაკაძე დაეუფლა. ეს ტურნირი კიდევ ერთი დასტური გახლდათ იმისა, რომ ბილიარდი, როგორ იქნა, იატაკქვეშეთიდან სამზეოზე გამოვიდა.

გივი კობოსნიძის სახელობის პრიზი წლეულს პირველად გათამაშდა, ამიტომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა საასპარეზოდ მხოლოდ დიდოსტატის მეგობრები – 60-იანი წლების მოთამაშეები მიიწვიეს. მათ შორის ყველაზე უმცროსი 55 წლისა გახლდათ, უხუცესი – აკაკი გუმბერიძე კი მალე 83-ს გადააბიჯებს. – მოხარული ვარ, რომ ჩვენში ბილიარდს დიდი გაქანება ეძლევა, – გვითხრა ბატონმა აკაკიმ. – იგი არა მარტო დიდებს, არამედ მოზარდებსაც წაადგებათ, რადგან ბილიარდის თამაში ჩინებულ ფიზიკურ მომზადებას, მათემატიკურ სიზუსტეს მოითხოვს. ერთი სიტყვით, მარტო კიით კი არა, თავითაც უნდა ითამაშო. 15 წლის ვიყავი, ბილიარდის თამაში რომ დავიწყე. საქართველოს პირველობებზეც გამოვსულვარ არაერთხელ. საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინრის პირველ მოადგილედ რომ დამნიშნეს, აღარ დამრჩა ბილიარდის სათამაშო დრო. ამჟამად ამავე ქარხნის გენერალური დირექტორის მრჩეველი ვარ. ხანდახან ბილიარდისთვისაც ვპოულობ დროს. გივის ტურნირზე მოწვევა რომ მივიღე, სიამოვნებით დავთანხმდი – უმცროს მეგობარს როგორ გავაწბილებდი. გივი ხომ მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უძლიერეს მობილიარდედ ითვლებოდა. რაც შეეხება შეჯიბრებას, რამდენიმე პარტია ვითამაშე, ერთი-ორიც მოვიგე, მაგრამ ახალგაზრდა მეტოქეებმა (ისინი 70-75 წლისანი იყვნენ) მაინც მაჯობეს...

### ჯილდოდ – მსუბუქი ავტომანქანა

საბილიარდო სამყაროში გივი კობოსნიძეს საკმაოდ კარგად იცნობენ. დღესაც მრავლად არიან მისი ჩინებული გამარჯვებების თვითმხილველნი.

– სპორტული კარიერა ფარიკაობით დავიწყე. – იგონებს ბატონი გივი. – მერე ფეხბურთმა გამიტაცა. მეშვიდე კლასში ვიყავი, თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს რომ გავყევი მცხეთაში საწვრთნელ შეკრებაზე. იქ, დარბაზში ბილიარდი იდგა. გაერო ბაგატელო, კუნო სიხარულიძე, გოგი ანთაძე და ვოვა ელოშვილი თავგადაკლული მოთამაშეები იყვნენ. ვოვა ჩემი ახლობელია, ბილიარდიც მან შემაყვარა. ორ-სამ წელიწადში ისე გავიწაფე, რომ საქართველოში ვერავინ მჯობნიდა.

მახსოვს, 1952 წელს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის უძლიერესი მობილიარდე, მაშინ მოსკოვში მცხოვრები ქართველი სულიკო ბეჟანიშვილი, რომ მოვუგე, გაოცებული გაემგზავრა თბილისიდან. ეს კი დაიქადნა, სარევანშოდ აუცილებლად ჩამოვალო, მართლაც გვეწვია მომდევნო წელს, მაგრამ მაშინაც დავამარცხე.

**– ოფიციალური პირველობები თუ იმართებოდა საქართველოში ან საბჭოთა კავშირში?**

– ჩემი ჭაბუკობისას ბილიარდს ბურჟუაზიულ გადმონაშთად თვლიდნენ, ამიტომ, თუმცა არ იკრძალებოდა, მაგრამ არც ფართო გაქანებას აძლევდნენ. სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევდა და ოფიციალური შეჯიბრებებიც არ ეწყობოდა. მხოლოდ 1964 წელს გაიმართა პირველად საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ადგილი დავიკავე, მეორე-მესამე ადგილებზე ზესტაფონელი ზაურ მალრაძე და ფოთელი ემზარ ლაითაძე დაიყვნენ. 1965-1966 წლებში მოსკოვმა უმასპინძლა საბჭოთა კავშირის ექვსი უძლიერესი ქალაქის პირველობას რუსულ პირამიდაში. ორივეჯერ გავიმარჯვე. 1965 წლის ფინალურ ორთაბრძოლაში მოსკოვის ჩემპიონ გენადი ვარლამოვს მოვუგე სამი პარტია მშრალი ანგარიშით, რაც ასეთი რანგის შეჯიბრებებში თითქმის არ ხდება...

მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტმა განვლო და 1988 წელს გივი კობოსნიძემ თბილისის პირველობა მოიგო, მომდევნო წელს ვერის პარკში გამართულ საქართველოს პირველობაზე გაიმარჯვა და მსუბუქი ავტომანქანით დააჯილდოვეს.

ამჟამად ბატონი გივი თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე და საქართველოს მობილიარდეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლავთ.

### უსახსრობა ელიტარულ სპორტსაც აწუხებს

საბილიარდო სპორტის ეროვნული ფედერაცია საქართველოში 1992 წელს შეიქმნა და მას სათავეში **დავით ალექსიძე** ჩაუდგა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით დაიწყო ამ სახეობის პოპულარიზაცია, რასაც დემოკრატიული პროცესების დაჩქარებამაც შეუწყო ხელი.

– საგულისხმოა მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციის, კერძოდ, მისი დირექტორის ირაკლი ბითაძის გულისხმიერება. – გვითხრა დავით ალექსიძემ, – უწინ ამ პარკში ბილიარდი ფუნქციონირებდა, როგორც აგრაქციონის ერთ-ერთი სახეობა. ბატონმა ირაკლიმ იჯარით დაგვითმო ეს ოთახი ოთხი ბილიარდის მაგიდითურთ.

**– სულ ეს არის თქვენი სპორტული ბაზა?**

– არა, სხვაგანაც გვაქვს საბილიარდო ოთახები, მაგალითად, ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა კლუბი „ვერე", სადაც ოთხი მაგიდა აქვთ და შარშან ჩინებული ტურნირი გავმართეთ. იქ სასწავლო ცენტრის გახსნასაც ვაპირებთ. შარშან ორბელიანის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა საბილიარდო კლუბი „გიო". აჭარაში იქაური უშიშროების მინისტრი, ბატონი სოსო გოგიტიძე ჩაუდგა ბილიარდის ფედერაციას სათავეში და ახლა ბათუმში ჩინებული ბაზა აქვთ. უწინ კარგი ტრადიციები ჰქონდა ფოთს. ახლა იქ მის ასაღორძინებლად ძალ-ღონეს არ იშურებს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მობილიარდე ემზარ ლაითიძე.

ერთიც მინდა ვთქვა გულისტკივილით: მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში ჩინებული ადგილი იყო ბილიარდის სათამაშოდ. სამწუხაროდ, იქაურობა გაპარტახდა. შარშანწინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა თხოვნით მიმართა თბილისის მერიას, რომ ოთახი და ინვენტარი ჩვენი ფედერაციისთვის გადმოეცა, მაგრამ დღემდე პასუხი არ გვაღირსეს. არადა, ეს ელიტარული სპორტის სახეობა ჩვენში ნელ-ნელა ფართო გაქანებას იღებს – დღეისათვის სექციებში 150-ზე მეტი კაცი ვარჯიშობს. მალე მათი რაოდენობა, ვფიქრობთ, ერთიორად გაიზრდება. ამას ისიც შეუწყობს ხელს, რომ მარტის პირველ რიცხვებში ევროპული ბილიარდისა და სნუკერის ფედერაციამ თავის რიგებში მიგვიღო, თან ევროპის ჩემპიონატზეც მიგვიპატიჟა, რომელსაც მაისში ჰელსინკი უმასპინძლებს.

**– თქვენ ხომ მსოფლიო ფედერაციის წევრი იყავით...**

– მსოფლიო ფედერაციამ ჯერ კიდევ 1993 წელს გვაღიარა. მერე საერთაშორისო შეჯიბრებებშიც ვიასპარეზეთ. 1994 წელს მოსკოვში გამოვედით მსოფლიო ჩემპიონატზე და გუნდური მეხუთე ადგილი დავიკავეთ, მომდევნო წელს კი მხოლოდ რუსეთის ნაკრებს ჩამორჩით და ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ. პირად პირველობაში 1995 წელს რუსულ პირამიდაში მესამე-მეოთხე ადგილები გავიყავით. ჩემპიონი გახდა იური პანტელეევი, წინა წელს ყოფილი ბათუმელი, ამჟამად რუსეთის მოქალაქე გურამ მამულაძე იყო პირველი.

1996-1997 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე უსახსრობის გამო ვერ ვიასპარეზეთ, ვერც სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე გავემგზავრეთ, თუ არ ჩავთვლით ბელგიის საერთაშორისო ტურნირს, საიდანაც პერსონალური მიწვევა მომივიდა. სულ 20 მონაწილე იყო. მხოლოდ ფინალში დავმარცხდი მასპინძელ ვან დერ ბაშესთან – 3:4 და მეორე ადგილს დავჯერდი.

რაც შეეხება საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატებს, მათ 1993 წლიდან რეგულარულად ვმართავთ. შერჩეული გვყავს ქვეყნის ნაკრები თეიმურაზ დონაძის, გიორგი ბურჭულაძის, არტურ პოღოსიანის, ლადო გიგიბერიას, გოჩა ქავთარაძის, ჯემალ მესხის, მერაბ ჩიტაურის, როსტომ მაჩაიძის შემადგენლობით. გუნდს გივი კობოსნიძე ავარჯიშებს. თუ სათანადო სახსრები ვიშოვეთ, ევროპის ჩემპიონატზეც ვიასპარეზებთ და მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზეც, რომელიც მაისში გაიმართება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**





**სურათებზე: თამაშობენ ვეტერანი აკაკი გუმბერიძე და საბილიარდო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი დავით ალექსიძე (მარცხნივ).**
**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტო.

ტურისტული მარშრუტი

# კოჯრის ციხის და კაბენის დათვალიერებით

კოჯრის, ანუ, როგორც მას ძველად უწოდებდნენ, აზეულას ციხე კოჯორთან მდებარეობს, (ზოგჯერ მას ქოროღლის ციხესაც უწოდებენ, რადგან, გადმოცემების თანახმად, აქ ოდესღაც ვინმე ქოროღლი იმალებოდა). მასთან უმთავრესი მისასვლელი გზა კოჯრიდან მიდის, რისთვისაც ტურისტ მოგზაურებს ავტობუსით ან ქვეითად კოჯორში მოუხდებათ ასვლა (ორდღიანი, ლამისთევით გასვლის დროს, სასურველია, მოკლე გზით კოჯორში ქვეითად მისვლა), იქიდან კი სასოფლო გზით სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით ციხესთან მისვლა, რომელსაც დაახლოებით 1 საათი დასჭირდება.

ვახუშტის გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „კიკეთს ქვევით ხევსა შინა არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, გუმბათიანი, შვენიერი... აღაშენა მეფემან თამარ. სამხრით, მას ზემორ არს ციხე აზეულასი და აწ კოჯრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოჯორი... დგებოდნენ ზაფხულს მეფენი".

ციხის გარემოს დათვალიერებისა და მასთან დაკავშირებით საუბრის ჩატარების შემდეგ, ტურისტები კაბენის სამონასტრო ანსამბლისაკენ აგრძელებენ გზას, რომელიც კოჯრის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე გადაღმა ხევში მდებარეობს. მისკენ მისასვლელი გზა კოჯრის ციხიდან სამხრეთით მიემართება ფოთლოვანი ტყით და ბალახით მოსილ ფერდობზე, 2 კმ გავლის შემდეგ ხევის პირზე, მარცხნივ უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით (აღნიშნული ხევი ქვის სამშენებლო კარიერად არის გამოყენებული) და საურმე გზით, კლაკნილად დაღმა კაბენისაკენ ეშვება. აღნიშნული საურმე გზა, როგორც ეტყობა, ერთადერთი უძველესი დამაკავშირებელი გზა იყო კაბენის მონასტერთან, რომელიც დაზიანებულია, მაგრამ თავისუფლად გაივლის კაცი. კოჯრის ციხიდან კაბენამდე დაახლოებით 6 კმ-ია.

კაბენის სამონასტრო ანსამბლი სადარბაზო ნაგებობებით საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილა გაშენებული. ანსამბლის შუაში XII საუკუნის გუმბათიანი ეკლესია არის შემორჩენილი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე (ადრე გალავნის ტერიტორია საკოლმეურნეო ფერმად ყოფილა გამოყენებული, ამის გარდა, ზოგიერთ მნახველსაც არ დაუკლია თავისი მსახვრალი ხელი ამ ისტორიული ძეგლისათვის – მასზე ათასგვარი უმსგავსო ნაჯღაბნი დაუტოვებია).

კაბენის ანსამბლის დათვალიერების შემდეგ ტურისტული ჯგუფი სოფ. ლოუბანისაკენ აგრძელებს გზას (იგივე გზითაც შეუძლიათ დაბრუნდნენ უკან კოჯორში ან სამადლოზე ასვლით), რომელიც დაახლოებით 6-7 კმ-ია. გზა – ბილიკი ხშირფოთლოვან ტყეში, აღმოსავლეთით მიემართება, ხევის გადალახვის შემდეგ აღმა ზეგანზე ადის და სოფ. ლოუბანში შედის.

აქედან მოგზაურებს სურვილისამებრ შეუძლიათ გააგრძელონ გზა სოფ. კოდისაკენ (ან კუმისისაკენ), რომელიც 7 კმ-ით არის დაშორებული, ან სოფელთან დამაკავშირებელ ავტობუსით გამოემგზავრონ თბილისისაკენ.




ეს ყოველმხრივ საინტერესო და მრავალფეროვანი მარშრუტი ერთი და ორდღიანია, თუ გული გულობს, როგორც იტყვიან, ლაშქრობა შეიძლება ყოველგვარ ამინდში.

**აკაკი დოკვაძე,**
პროფესორი

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად





**დამხმარე ვარჯიშები (ნაწილი III)**

**მკერდის კუნთების ვარჯიში**

ვარჯიში სრულდება სპეციალურ სკამზე. დაწექით გულაღმა; ასწიეთ ჰანტელები, მკლავები გაშალეთ ბოლომდე (სურ. 1, 2).

**ზურგის კუნთების ვარჯიში**

ვარჯიში სრულდება სპეციალურ სკამზე. დაწექით პირქვე, ჰანტელები დაუშვით ძირს, შემდეგ მკლავები გაშალეთ ბოლომდე (სურ. 3).

**წელის კუნთების ვარჯიში**

1. ჰანტელებით ხელში მოიხარეთ წელში, დაახლოებით მართი კუთხით, ზურგი გეჭიროთ სწორად, შემდეგ გასწორდით (სურ. 4).
2. გამოიტანეთ შტანგა მხრებით სადგარებიდან, დაჯექით სკამზე, მოიხარეთ წელში იქამდე, სანამ სკამს არ შეეხებით, შემდეგ გაიმართეთ წელში (სურ. 5).

**გვერდითი (გარეთა ირიბი) კუნთების ვარჯიში**

შტანგა დაიდეთ მხრებზე, ფეხები მხრების სიგანეზე, გადაიხარეთ ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ (სურ. 6).






**ფეხის კუნთების ვარჯიში**

1. ფეხები მხრების სიგანეზე, შტანგის გრიფი მოიქციეთ ფეხებს შუა და ხელები მოკიდეთ თანაბრად. ამოწიეთ შტანგა სხეულთან შეხებამდე (სურ. 7).
2. ჰანტელები დაიჭირეთ მხრებთან, აიწიეთ ფეხის წვერებზე, შემდეგ დაეშვით ქუსლებზე (სურ. 8).
3. ჰანტელი დაიჭირეთ დაშვებულ ხელში, აიწიეთ ერთი ფეხის წვერებზე, შემდეგ დაეშვით ქუსლზე, შემდეგ ჰანტელი გადაიტანეთ მეორე ხელში და ვარჯიში შეასრულეთ მეორე ფეხისთვის, წონასწორობისათვის ხელი მოკიდეთ სადგარს (სურ. 9).

**მუცლის პრესის ვარჯიში**

1. დაწექით სპეციალურ დახრილ დაფაზე, ფეხები დაიმაგრეთ სპეციალური სამაგრით, თავს უკან დაიჭირეთ სიმძიმე, იდაყვები მიიტანეთ მუხლებთან (სურ. 10).
2. დაწექით სპეციალურ სკამზე, ხელები ჩაავლეთ სკამის გვერდებს. აიწიეთ ისე, რომ ეყრდნობოდეთ მხრებსა და კისერს. დაეშვით, რაც შეიძლება ნელა (სურ. 11).

თითოეულ მოძრაობას დაუთმეთ 4 მისვლა, 10-10 განმეორებით, შესვენება მისვლებს შორის 2-3 წუთი.

**ვარჯიშებს ასრულებენ: სპორტის ოსტატი ნიკოლოზ შარაძე (სურ. 5) და ევროპის 1995 წლის ჩემპიონი ათლეტიზმში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სოსო ხარაბაძე.**

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი.
**ზურაბ ტარიელაშვილის ფოტო.**







(დასაწყისი იხ. „საქ. რესპ." 21.II და 7.III 1998).

ჩოგბურთი

# ია ზოზრაშვილი – ახალივარსკვლავი?

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1998 წლის ჩემპიონატი, რომელშიც 16 ქალი და 24 ვაჟი ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

ქალთა პირად პირველობაში სპეციალისტები ფავორიტად მიიჩნევდნენ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონსა და საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების აღიარებულ ლიდერს სოფიკო მანაგაძეს. მან პირველ ტურში ძალიან სწრაფად (6:0, 6:0) მოუგო ყაველაშვილს და მეორე წრეში 17 წლის ჩოგბურთელს ია ზოზრაშვილს შეხვდა. სოფიკომ დამაჯერებლად მოიგო პირველი პარტია – 6:1, მაგრამ მეორეში დამარცხდა – 3:6. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა მესამე გადამწყვეტი ხელი, ახალგაზრდა ჩოგბურთელმა მძაფრ ბრძოლაში – 7:5 დაამარცხა ძლიერი მეტოქე. ნახევარფინალშიც ზოზრაშვილმა ნატო დოლიძესთან პირველი პარტია დათმო – 5:7. სამაგიეროდ, იმარჯვა ორ მომდევნოში – 6:0, 6:4 და ფინალში გავიდა. დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალური მატჩიც ნინო ესებუას და ეკა ქვანიას შორის. ანგარიშით – 2:1 (1:6, 7:6, 7:5) გაიმარჯვა ესებუამ. ფინალში იგი ზოზრაშვილს (მწვრთნელი დავით კაჭარავა) შეხვდა. იამ ორი ხელი მოიგო – 6:3, 6:4 და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. მესამე ადგილი დაიკავა ნატო დოლიძემ, რომელმაც 2:1 (2:6, 6:3, 7:5) სძლია ეკა ქვანიას.

ვაჟთა პაექრობაში ჩინებულად ითამაშა გივი სამხარაძემ, რომელმაც ნახევარფინალში ირაკლი კუნჭულიას დააყრევინა ფარ-ხმალი – 6:4, 3:6, 7:6, 9:7, ნახევარფინალში ირაკლი უშანგიშვილმა სძლია ვლადიმერ ჩიხლაძეს – 6:3, 6:1. ფინალურ მატჩში გივი სამხარაძემ მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა ირაკლი უშანგიშვილი – 7:5, 6:7, 6:4 და საქართველოს 1998 წლის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა, ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა კუნჭულიას.

**შოთა ბოკერია.**

ყოველი მხრიდან

### ო, დამნაშავე ჩემს თავთან მე ვარ!

ტრაგიკულად დამთავრდა ამერიკის გუნდის წევრისათვის, მსოფლიო ჩემპიონ დეიჩ დაგლასისათვის კიევში მიმდინარე ტურნირი „ბრძოლები წესების გარეშე". 31 წლის ამერიკელი სპორტსმენი ხარკოველ ევგენი ზოლოტარევთან შეხვედრის შემდეგ უგონოდ, სასიკვდილო ტრავმით მიიყვანეს კიევის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში, სადაც მეორე დღეს გარდაიცვალა. ექიმების დასკვნით, მას ჰქონდა მძლავრი სისხლჩაქცევა ტვინში. ასეთი ტრავმა რომ გამოეწვია, თავში დარტყმა უროს დარტყმის სიმძლავრისა უნდა ყოფილიყო.

როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, სპორტსმენის სიკვდილში დანაშაულის ფაქტი არ არის. ტურნირი ლეგალურად, ქვეყნის მთავარ არენაზე – სპორტის სასახლეში ტარდებოდა, არ დარღვეულა ორთაბრძოლის წესები და ა.შ.

მაგრამ ამ ტრაგიკულ ისტორიაში ყველაფერი ხომ მარტო წესებამდე არ დადის. თვით სახელწოდება „ბრძოლა წესების გარეშე" მეტყველებს მის არსზე. ეს არის სისხლიანი სანახაობა, რომელიც მიმდინარეობდა ოთხი ათასი მაყურებლის თვალწინ. როგორც ამბობენ, დარბაზში ბლომად იყვნენ მოზარდებიც და ბავშვებიც, რომლებიც სხვებთან ერთად გაჰყვიროდნენ „მოდი, მოკალი!" დაღუპულ ამერიკელს კი ხუთი ბავშვი დარჩა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ამერიკის ბევრ შტატში „ბრძოლა წესების გარეშე" აკრძალულია.

### რისი ეშინიათ?

სახელგანთქმულ კუბელ მორბენალს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ალბერტო ხუანტორენას აშშ მთავრობის გადაწყვეტილებით უარი უთხრეს ამ ქვეყანაში შესასვლელ ვიზაზე. ეს უცნაური გადაწყვეტილება კი იმით დაასაბუთეს, რომ დიდი სპორტსმენი კუბის ეროვნული ასამბლეის დეპუტატია.

სააგენტო პრეს ლატინასთვის მიცემულ ინტერვიუში დეპუტატმა, რომელიც ამავე დროს კუბის სპორტის, ფიზაღზრდისა და დასვენების ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტიცაა, ამ შემთხვევას იდიოტიზმი უწოდა და თან განმარტა, რომ მას ამერიკელებმა სთხოვეს ბერკლის უნივერსიტეტში (კალიფორნიის შტატი) ლექციების კურსის წაკითხვა. ხუანტორენა შედიოდა კუბის გამოჩენილი მეცნიერების, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მოღვაწეების ჯგუფში, მაგრამ რატომღაც მოხვდა „კუდიანების" სიაში. ჩანს, მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც თავის დროზე ყბადაღებულმა სენატორმა მაკარტიმ წამოიწყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ გრძელდება.

ჩანართის უძღვება ანზორ ბასილაია.

## კროსვორდი



თარაზულად: 7. თბილისის „რუსთაველის" კინოთეატრის შენობის პროექტის ავტორი. 8. თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. 11. საქონლის დადგენილი ფასი. 12. დადებითად დამუხტული ელექტროდი. 13. ძვირფასი ქვა, მრავალწახნაგა თლილი ალმასი. 16. განთიადი, გარიჟრაჟი. 17. ზოგი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართველობა. 18. რაიონული ცენტრი საქართველოში. 21. დიდი გარმონი. 22. რეჟისორ თ. მელიავას ფილმი. 23. ებრაელთა სასულიერო პირი. 24. ქალაქი ესპანეთში. 29. მფრინავი. 30. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. 31. ძველი ბერძნული ეპიკური პოემა. 35. მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დასამზადებელი სახელმწიფო საწარმო ძველ თბილისში. 37. მალხლხარისხოვანი, წმინდა ქეჩა, რომლისგანაც ქუდებს ამზადებენ. 38. ცხენოსნის წკეპლა. 39. საფეიქრო ფაბრიკის მეპატრონე ძველ თბილისში. 40. მამაკაცის დაბალყელიანი, ზონარით შესაკრავი ფეხსაცმელი.

შვეულად: 1. კომპოზიტორ ჟ. ოფენბახის ოპერეტა. 2. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 3. რეჟისორ ი. კვირიკაძის ფილმი. 4. ერთგვარი ცეკვა, გავრცელებული იყო 60-იანი წლების დასაწყისში. 5. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი. 6. ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემულ წეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვ. 9. სათეატრო ცეკვის ხელოვნება. 10. შეჯიბრების დაწყების მომენტი. 14. VI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. 15. ძველი თბილისის ერთ-ერთი ნაწილი, უბანი. 19. აფორიზმი. 20. რაიმე საქმესთან დაკავშირებული ერთად შეკრული დოკუმენტები. 25. დრამა, შუა საუკუნეების დას. ევროპაში, რომელსაც ჰქონდა ბიბლიური სიუჟეტი. 26. მონასტერი. 27. გერმანელი მწერალი, რომლის პიესებიც დაიდგა შ. რუსთაველის სახ. თეატრში. 28. გამომწვარი ფერადი თიხა. 32. დროებითი სადგომი. 33. ფურცელი, რომელზედაც სხვადასხვა კითხვაა ჩამოწერილი გარკვეული ცნობების შესაგროვებლად. 34. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. 36. წელთაღრიცხვის სისტემა.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

**15 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად: 5. ბედაური. 6. ემბარგო. 10. გრაფა. 11. ტიტრი. 12. ტოტფალუში. 15. ფეტრი. 16. ონტარიო. 17. ლიბია. 20. ილეთი. 22. ფერწერა. 23. მონტანი. 24. სტეპი. 28. ეტაპი. 29. კროკეტი. 31. ვარნა. 34. გრამატიკა. 35. კაირო. 36. რიტმი, 37. სიცილია. 38. ტაიფუნი.**

**შვეულად: 1. მეტაფორა. 2. კარატე. 3. რანტიე. 4. აგიტაცია. 6. რეოტინგი. 8. მიმულინი. 9. დიანა. 13. კეჩკემეტი. 14. სიმონსონი. 18. მორზე. 19. პროზა. 21. ემე. 24. სერვანტი. 25. ინტუიცია. 26. ოპოზიცია. 27. კავატინა. 30. კლასი. 32. „აგონია". 33. პარაფი.**

## ხსოვნა



# თამაზ მელაძე

გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განყოფილების უფროსი მაიორი თამაზ ლენსტმახის ძე მელაძე. უშიშროების სისტემაში მოსვლის პირველი დღიდანვე მან კოლექტივის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებით, თავმდაბლობით, საქმის ერთგულებითა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. იყო ერთგული და უშიშარი ოფიცერი, რაც არაერთხელ დაამტკიცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის გაწეულ საქმიანობაში.

სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისა და მუშაობაში მიღწეული დადებითი შედეგებისათვის მრავალჯერ წაახალისა სამინისტროს ხელმძღვანელობამ.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მარადიული ხსოვნა ჩვენი თანამებრძოლის თამაზ მელაძის უკვდავ სახელს.

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო;**
**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.**

## გახსენება

# ღვაწლმოსილი მეცნიერი

ქართულმა ტექნიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ პეტრეს ძე მჭედლიშვილი-პეტროსიანი.**

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და უანგარო მეცნიერი, ჰუმანური და კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც ერთი დღეც არ უცხოვრია ისე, რომ არ ეფიქრა საქართველოზე, მის მომავალზე. იგი ხუმრობით თავს დავით გურამიშვილს ადარებდა, რადგანაც მასაც უკრაინაში მოუწია მოღვაწეობამ და დაგვიტოვა მრავალი ორიგინალური მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც სამაგიდო წიგნად იქცა ჩვენი კერამიკოსებისა და მშენებლებისათვის.

ოთარ პეტრეს ძე მჭედლიშვილი-პეტროსიანი დაიბადა 1918 წლის 3 ოქტომბერს ქ. თბილისში, ბავშვობა ქალაქის ძველ უბანში, სოლოლაკში გაატარა. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის საქართველოს ს. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1940 წელს სილიკატების სპეციალობით. სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა და განათლებულმა ახალგაზრდამ, რომელსაც მეცნიერული კვლევის განსაკუთრებული ალღო და უნარი ახასიათებდა. ამიტომ იგი ასპირანტურაში დატოვეს, რომლის დამთავრების შემდეგ 1945 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თბილისში, ხოლო 1953 წელს სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში. მისი სამუშაოები, ძირითადად, ეხება ცემენტებისა და ბეტონების მიღების ტექნოლოგიას, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევას და სხვა.

1955 წლიდან ო. მჭედლიშვილი თავის მოღვაწეობას უკავშირებს ხარკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტს, სადაც ის ბეტონის ფიზიკა-ქიმიის, მექანიკის და ტექნოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობს. ამავე დროს იყო „იუჟგიპროცემენტის" ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიის გამგე.

ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და დამსახურებული გამომგონებელი, უკრაინის მშენებლობის აკადემიის აკადემიკოსი ოთარ პეტრეს ძე მჭედლიშვილი, სამამულო და საერთაშორისო მეცნირებაში დიდი მეცნიერული დამსახურებისათვის 1976 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია 95 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი ნაშრომი ახლო და შორეულ საზღვარგარეთში, 18 წიგნი და სახელმძღვანელო; არის 76 საავტორო მოწმობის ავტორი. იგი დიდ დახმარებას უწევდა ჩვენი ქვეყნის სპეციალისტებსა თუ მაძიებლებს, რომელთა მუშაობაც დაკავშირებული იყო ცემენტთან, ბეტონთან, კერამიკასთან და მინასთან. ამ დარგში ო. მჭედლიშვილს მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული. დააფუძნა რა მსხვილი სამეცნიერო სკოლა, მან საერთაშორისო ავტორიტეტი დაიმსახურა იმით, რომ სამშენებლო მასალათმცოდნეობის პრობლემებს წყვეტდა ფუნდამენტური მეცნიერების თვალთახედვით. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ ხარკოვში შექმნილი უკრაინის კალორიმეტრიის ცენტრი. მას მინიჭებული ჰქონდა უკრაინის სახელმწიფო და საკავშირო აკადემიის კურნაკოვის სახელობის პრემიები. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამამულო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონგრესებში, იყო მოსკოვში ჩატარებული ცემენტის ქიმიის საერთაშორისო კონგრესის გენერალური მდივანი.

უამრავი მოწაფეები, მთელი რიგი წიგნები და სახელმძღვანელოები, პრესტიჟული პრემიები, ხარისხები და შრომები — ეს ბატონი ოთარის ცხოვრებისა და შრომის შედეგია. იგი მუდამ საქმის კურსში იყო იმ სამეცნიერო სამუშაოებისა, რომლებიც ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიისა და საშენ მასალათა ნაკეთობათა კათედრებზე, საშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში. იგი დიდი ენთუზიაზმითა და გულისხმიერებით უწევდა მათ თანამშრომლებს კონსულტაციებსა თუ სხვა სასარგებლო რჩევებს, იყო ხელმძღვანელი და ოპონენტი მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციისა. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა თემის აქტუალობითა და მაღალი პროფესიონალიზმით, ამიტომაც იკრებდა იგი თავის გარშემო მსმენელთა ფართო აუდიტორიას.

ო. მჭედლიშვილი იყო დიდად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, სრულყოფილად ფლობდა რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს. იგი არ იყო შემოფარგლული მხოლოდ მეცნიერული საქმიანობით. ისევე როგორც ყველა ღვთივმონიჭებულ ნიჭიერ კაცს, მასაც ჰქონდა გატაცება — ეს იყო პოეზია. სამწუხაროდ, მის ლექსებს არ იცნობს ფართო საზოგადოება, რომლებშიც ირეკლება ნაკვთები ფართო, ჭკვიანი, ღრმად მგრძნობიარე, ინტელიგენტი ადამიანისა. შარშან ხარკოვში გამოიცა მისი ლექსების მცირე კრებული (На ситах памяти, „фолио", Харьков, 1997); სრული გამოცემა, ალბათ, მომავლის საქმეა.

ო. მჭედლიშვილი-პეტროსიანი გარდაიცვალა 1997 წლის 3 ოქტომბერს, თავისი დაბადების დღეს, რითაც ძლიერ დასწყვიტა გული მის უახლოეს მეგობრებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები**
**გ. ციციშვილი**
**გ. გველესიანი**

---

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ემზარ საბანაძეს მამის

**ალექსანდრე საბანაძის**

გარდაცვალების გამო

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, პოლიციის გენერალ-მაიორს, ემზარ საბანაძეს მამის

**ალექსანდრე სამსონის ძე საბანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ემზარ საბანაძის მამა

**სანდრო საბანაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები გივი გაგნიძე, მალხაზ გოჩაშვილი, ნუგზარ ხოჯევანიშვილი, დიმიტრი ოქროპირიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ემზარ საბანაძეს მამის

**ალექსანდრე საბანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ქეთევან სოფრომაძე, დები მარინა, ირინა ჯალაღონიები, შვილები კახა, ქეთევანი, ბექა, სიძეები ომარ სიხარულიძე, გია ნინიკაშვილი, დისწულები დეა, გოგა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბადრი ბორისის ძე ჯალაღონია**

პანაშვიდი 24, 25 III, 4 სთ. გამოსვენება 26 III, 3 სთ. ნუცუბიძის № 34.

---

რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის I ქირურგიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

**ზიზი რაფიელის ძე თოფურია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრის I ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ განყოფილების გამგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის

**ზიზი რაფიელის ძე თოფურიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძლულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.